პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР.

გამოცემის 47-ე წელი № 141 (13535) | შაბათი, 21 ივნისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

დიდი, საერთო-სახალხო საქმე

გუშინ „პრავდაში" გამოქვეყნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ". ეს დოკუმენტი აკონკრეტებს პროგრამას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა მიიღო. საქმე ეხება დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ღონისძიებებს, იმას, თუ რა გზით და რა საშუალებათა დახმარებით განხორციელდეს სამელიორაციო სამუშაოთა რთული კომპლექსი, რათა თვითეული ჰექტარი მიწის სავარგული რაც შეიძლება მეტ სარგებლობას აძლევდეს სახელმწიფოს, საბჭოთა ადამიანებს.

მელიორაცია შრომატევადი საქმეა, განსაკუთრებით როცა ის ხორციელდება მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბებით. საჭიროა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა, კონსტრუქტორთა და მანქანათმშენებელთა, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა გაერთიანებული ღონისძიებანი, საჭიროა თანხმობით გაუმჯობესდეს მიწათმოქმედების კულტურა, გაიზარდოს ნიადაგის ნაყოფიერება, მიღწეულ იქნას სრულფასოვანი და მყარი მოსავალი. ყველა ღონისძიება, მთელი დანახარჯები ასკეცად ანაზღაურდება, ისინი საშუალებას მოგვცემენ მნიშვნელოვნად გავადიდოთ სოფლის მეურნეობის ეფექტიანობა, ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე დავაყენოთ მიწათმოქმედება.

პარტიამ და მთავრობამ ზუსტად განსაზღვრეს მთავარი მიმართულებანი ამ უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტაში. და თუმცა მიწების მელიორაციის მასშტაბები გრანდიოზულია, დასახული პროგრამა რეალურია, იმიტომ რომ სავსებით შეესაბამება ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეს, ჩვენი საზოგადოების შესაძლებლობებს. სამუშაოთა ყოველი ეტაპი, რომელზეც ლაპარაკია დადგენილებაში, ყოველმხრივ დასაბუთებულია, ითვალისწინებს კონკრეტულ და ნათელ მიზანს.

მაგალითად, გვალვიანი და ნახევრადგვალვიანი რაიონების ზონაში ათი წლის მანძილზე უნდა მოირწყას და ათვისებულ იქნას დაახლოებით შვიდი-რვა მილიონი ჰექტარი ახალი მიწები. გარდა ამისა, საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი მოსავლიანობის გასადიდებლად ყველა სარწყავ მასივზე. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ბრინჯის, ხორბლის, სიმინდის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, საკვების, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოების მყარი ზრდა.

მნიშვნელოვნად გაძლიერდება წყალსამეურნეო მშენებლობის ტემპები ჩრდილოეთ კავკასიაში და უკრაინის სამხრეთში, მოლდავეთსა და ყაზახეთში, დასახულია აშენდეს სარწყავი სისტემები ვოლგისპირეთში. ამ ზონებში მორწყვის მეოხებით შეიქმნება სასაქონლო მარცვლისა და სხვა პროდუქტების წარმოების მსხვილი ბაზა. გათვალისწინებულია აგრეთვე რწყვის შემდგომი განვითარება შუა აზიისა და ამიერკავკასიის რაიონებში.

გადავხედოთ ახლა გონების თვალით ჭარბტენიანობის ზონას. ათწლეულში აქ დაშრობილ და ათვისებულ იქნება დაახლოებით თხუთმეტი-თექვსმეტი მილიონი ჰექტარი სავარგული. გარდა ამისა, ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რომ დაშრობილ მიწებზე წლითიწლობით იზრდებოდეს მარცვლის, სელის, კარტოფილის, ბოსტნეულის, საკვები კულტურების მოსავალი.

მუშაობა მართლაც უდიდესი მოცულობის!

როგორც რწყვა, ის დაშრობა მინდვრების მოსავლიანობის გადიდების მძლავრი საშუალებაა. მაგრამ თავისთავად ისინი არ მოგვცემენ სრულ ეფექტს, ეს ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ კომპლექსურად სხვა — ორგანიზაციულ და აგროტექნიკურ—ღონისძიებებთან ერთად. საბჭოთა აგრონომიულმა მეცნიერებამ, მრავალი წლის პრაქტიკამ სარწყავი და დაშრობილი მიწების რაციონალურად გამოყენების მდიდარი გამოცდილება შეიძინა. საქმე ახლა ის არის, რომ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ეს გამოცდილება, გამოვიყენოთ იგი ყველა მასივებზე.

ახლა, როცა პარტიამ და მთავრობამ განსაზღვრეს სამელიორაციო მშენებლობის გაშლილი პროგრამის ძირითადი რგოლები, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქმის ორგანიზაციას ადგილებზე. უწინარეს ყოვლისა საჭიროა მიწათმოქმედებს გავაცნოთ იმ ღონისძიებათა მნიშვნელობა, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს, და სწორად დავგეგმოთ სამუშაოები თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ სამელიორაციო სადგურში, გავშალოთ მექანიზატორთა საბრძოლო შეჯიბრება. მთავარია დაუყოვნებლივ შევუდგეთ საქმეს, სრული დატვირთვით გამოვიყენოთ ტექნიკა და მოწყობილობა, რომლებსაც მელიორაციისათვის იძლევიან.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, რომლებიც სოფლის შეკვეთებს ასრულებენ. მანქანათმშენებლებმა უნდა დააჩქარონ ტექნიკის მიწოდება მელიორატორებისათვის, მისცენ მათ მძლავრი და საიმედო მანქანები. ქიმიკოსებისაგან სოფელი მოელის მეტ სასუქს, ჰერბიციდებს, რომლებიც უაღრესად საჭიროა მინდვრების მოსავლიანობის ზრდისათვის. სოფლის შეკვეთებს ქარხნის კოლექტივები უნდა ასრულებდნენ ზუსტად ვადაზე და სრული ნომენკლატურით.

სამელიორაციო მშენებლობა მოითხოვს დიდძალ კვალიფიციურ კადრებს, ამასთან დაკავშირებით პარტიამ და მთავრობამ დასახეს სპეციალისტთა მომზადების გაძლიერების ღონისძიებანი. გადიდდება სტუდენტთა მიღება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მოეწყობა ინჟინრების, ტექნიკოსების, აგრონომების, ნიადაგმცოდნეების, მდელომცოდნეების გადამზადება. სამელიორაციო მშენებლობის დარგში მეცნიერული კვლევის გასაფართოებლად მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გადაეცემა მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები.

სახელმწიფო მრავალ მილიარდ მანეთს გამოყოფს მიწების გაუმჯობესებისათვის. დიდ თანხებს დახარჯავენ თვით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. გონივრულად უნდა ვისარგებლოთ ამ სახსრებით, ყაირათიანად, მზრუნველობით გამოვიყენოთ თვითეული მანეთი. ეკონომისტები, აგრონომები, მეცნიერები მოვალენი არიან უკარნახონ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, რა ობიექტებზე უნდა დაიხარჯოს ფული პირველ რიგში, წყალსამეურნეო მშენებლობის რა რგოლი მოგვცემს სწრაფად ყველაზე დიდ ამოგებას.

ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ფაქტი, როცა განახლებულ მიწებს დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ. მოსავალი ასეთ მინდვრებში ზოგჯერ არ აღემატება იმას, რაც ჩვეულებრივ მიწებზე მოჰყავთ. მიზეზი ის არის, რომ დაბალია მიწათმოქმედების საერთო კულტურა, უყურადღებოდ მიტოვებულია მეთესლეობა, ირღვევა სასუქების შეტანის წესები. ამგვარ ფაქტებს ვეღარ შევურიგდებით. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მტკიცედ უნდა გაზარდონ კადრების პასუხისმგებლობა, გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, აამოქმედონ ეკონომიური ბერკეტები და მიაღწიონ იმას, რომ მიწების მელიორაცია უხვი მოსავლის საიმედო გარანტია გახდეს.

საერთო-სახალხო საქმეში ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ სამეცნიერო დაწესებულებებმა, საკონსტრუქტორო ბიუროების, ცენტრალური უწყებების მუშაკებმა. მათი ამოცანები კონკრეტულად მოხაზულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში მელიორაციის შესახებ. საჭიროა, რომ თვითეულ ორგანიზაციაში დაწვრილებით და ყოველმხრივ განიხილონ ეს ამოცანები, დააწესონ მტკიცე კონტროლი მათი შესრულებისადმი.

მიწების მელიორაციის ვრცელ სამუშაოთა პროგრამა დასახულია, მოწონებულია პარტიისა და ხალხის მიერ, განსაზღვრულია დეტალები. წინ დიდი საქმეები მოგველის. მილიონობით ჰექტარი უნდა გადავაქციოთ ნაყოფიერ ყანებად. დაე თვითეულმა, ვისკენაც მიმართულია პარტიისა და მთავრობის დადგენილება, მთელი ძალღონით, დიდი პასუხისმგებლობით იმუშაოს კომუნისტური მშენებლობის ამ საბრძოლო ფრონტზე!

ПРАВДА

20 ივნისის მოწინავე

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1966 წლის) პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ".

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას", ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წინადადება მიეცათ:

გაშალონ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მიწების ნაყოფიერების გადიდებისათვის, მიწების მელიორაციის ფართო პროგრამის განხორციელებისათვის, მიიჩნიონ ეს უმნიშვნელოვანეს საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანად;

განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უაღრესად სრულად და ნაყოფიერად გამოიყენონ თვითეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ფართოდ განავითარონ მიწების რწყვა, დაშრობა და გაწყლიერება, გააუმჯობესონ მდელოები და საძოვრები, გაწმინდონ მიწები ქვებისაგან, ჯაგნარისა და ბუჩქნარისაგან, აღმოფხვრან წვრილკონტურული ნაკვეთები და ჭარბი დატენიანებით დაღუპული ნათესები, გააკირიანონ და გაათაბაშირიანონ ნიადაგები;

განუხრელად შეასრულონ ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან, დაჭაობებისა და დამლაშებისაგან ნიადაგების დაცვის მოთხოვნები, სადაც საჭიროა, განახორციელონ მინდორსაცავი ნარგავების გაშენება და ქვიშიანების მოტყევება;

უზრუნველყონ სწორი თესლბრუნვების შემოღება და ათვისება, მიწათმოქმედების ყველაზე ეფექტიანი სისტემების დანერგვა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, დარაიონებული მაღალხარისხოვანი ჯიშიანი თესლის თესვა, ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების გაუმჯობესება, მიწებისა და მათი ხარისხიანობის ზუსტი აღრიცხვა.

პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა და საცდელმა სადგურებმა დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიწების მელიორაციისა და ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების, თვითეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის უაღრესად პროდუქტიულად გამოყენების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმების შემუშავებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაგმეს ისეთი პრაქტიკა, როცა სამრეწველო ობიექტების, გზების, ელექტროგადაცემის ხაზების და სხვა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისათვის სრულიად უსაფუძვლოდ გამოჰყოფენ კარგ სახნავ და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, განსაკუთრებით სარწყავ, დაშრობილ და ნოყიერ მიწებს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით უნდა შეიმუშაონ წინადადებანი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებებისათვის მიწების გამოყოფის მოწესრიგების თაობაზე.

იმის გამო, რომ მთელ რიგ მეურნეობებში უყურადღებოდ მიტოვებულია სარწყავი და დაშრობილი მიწები და ასეთი მიწების მნიშვნელოვან რაოდენობას არ იყენებენ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ბოლო უნდა მოუღონ სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენებისადმი უდარდელი დამოკიდებულების ფაქტებს და ჯეროვანი წესრიგი დაამყარონ ამ საქმეში.

სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების შესახებ; საჭიროა 1966-1975 წლებში განხორციელდეს დაახლოებით 7-8 მილიონი ჰექტარი მიწების მორწყვისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოთა პროგრამა და მნიშვნელოვნად გადიდდეს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა სარწყავ მიწებზე, რათა უზრუნველვყოთ ბრინჯის, ხორბლის, სიმინდის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, საკვების, ბოსტნეულის, აგრეთვე ხილის, ყურძნისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოების მყარი ზრდა.

1966-1970 წლებში გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 2,5-3 მილიონი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები, აქედან ბრინჯის თესვის განვითარებისათვის 505 ათასი ჰექტარი.

მიმდინარე ხუთწლეულში უნდა შევასრულოთ სამუშაოები ჩვენი ქვეყნის მიწების სამელიორაციო გაუმჯობესებისათვის 1,17 მილიონ ჰექტარზე, მიწების აგეგმვისათვის — 1,42 მილიონ ჰექტარზე, სარწყავი სისტემების წყლით უზრუნველყოფის გადიდებისა და სარწყავი ქსელის გარდაქმნისათვის — 2,57 მილიონ ჰექტარზე.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ევალებათ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და შესაბამისი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მონაწილეობით შეიმუშაონ 1971-1975 წლებში სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების ღონისძიებანი, ამასთან გაითვალისწინონ დაახლოებით 4,5-5 მილიონი ჰექტარი მიწის მორწყვა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებს გაადიდონ მეურნეობათა პასუხისმგებლობა სარწყავი მიწების ეფექტიანი გამოყენებისა და შიდასამეურნეო სარწყავი და საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელის წესიერი მდგომარეობისათვის, გააუმჯობესონ სახელმწიფო სარწყავი სისტემების, არხებისა და კოლექტორების ექსპლოატაცია, ეკონომიურად და სწორად გამოიყენონ წყალი, შეამცირონ არხებიდან წყლის ფილტრაციით დანაკარგები, აღჭურვონ სარწყავი სისტემების საექსპლოატაციო სამმართველოები საჭირო ტექნიკით და განამტკიცონ სპეციალისტთა კადრებით.

მნიშვნელოვნად ძლიერდება წყალსამეურნეო სამუშაოთა ტემპები ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინის სამხრეთში, მოლდავეთსა და ყაზახეთში, სარწყავი სისტემების მშენებლობა დაიწყება ვოლგისპირეთში, რათა ამ ზონებში სარწყავ მიწებზე შეიქმნას სასაქონლო მარცვლეულისა და სხვა კულტურების წარმოების დიდი რაიონები. გათვალისწინებულია რწყვის შემდგომი განვითარება შუა აზიისა და ამიერკავკასიის რაიონებში.

დასახულია განხორციელდეს მიწების რწყვისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოები ბრინჯის თესვის განვითარებისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში, სამხრეთ უკრაინაში, მდინარე ვოლგისა და მდინარე ამუდარიის ქვემო წელში, მდინარე სირ-დარიის ქვემო და შუა დინებაში, შორეულ აღმოსავლეთსა და მდინარე ილის ქვემო წელში.

ყველა რაიონში ფართოდ უნდა განვავითაროთ მიწების რწყვა ადგილობრივი ჩამოდენისა და მიწისქვეშა წყლების გამოყენებით ბოსტნეულის, კარტოფილის, საკვები და სხვა კულტურების მოსაყვანად ყველა რაიონში, უწინარეს ყოვლისა, საგარეუბნო ზონებში. ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივას, რომ მიწის პატარა ნაკვეთები მორწყონ საკუთარი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე, და ყოველმხრივ დავეხმაროთ ამ საქმეში. უნდა გამოვიყენოთ ხელშემწყობი პირობები და ადგილობრივი გამოცდილება ლიმანური რწყვის განვითარებისათვის ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, ვოლგისპირეთსა და სხვა რაიონებში, აგრეთვე სატუმბავი სადგურების თავისუფალი სიმძლავრენი და შაქრისა და საკონსერვო ქარხნების, სხვა საწარმოების წყალმომარაგების წყაროები, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამადენი წყლები რწყვის საჭიროებისათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკამ" და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სარწყავი მიწების ნათესებისა და ნარგავებისათვის უნდა გამოუყონ მინერალური სასუქები სრული საჭიროების ოდენობით, აგრეთვე ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ავტომობილები.

უნდა დავეხმაროთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სპეციალისტებით დაკომპლექტებაში, რათა უახლოეს წლებში თვითეულ მეურნეობას რწყვის ზონაში ჰყავდეს კვალიფიციური ჰიდროტექნიკოსები და აგრონომები. განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა სრულვყოთ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის ორგანიზაცია, გავაუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექცია და მეთესლეობა, დავნერგოთ სარწყავ მიწათმოქმედებაში მეცნიერების მიღწევები და წარმოების მოწინავეთა გამოცდილება.

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ რწყვის ტექნიკა და სარწყავ მიწებზე ხორბლისა და სხვა კულტურების თესვა-მოყვანის აგროტექნიკა, გათვალისწინებულია ვოლგისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინასა და ყაზახეთში შეიქმნას სარწყავი მიწათმოქმედების საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობები.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად დაევალათ შეიმუშაონ წინადადებანი, რომ კომპლექსურად გამოიყენონ მოქმედი და მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავები ენერგეტიკის, სარწყავი მიწებისა და თევზის მეურნეობის საჭიროებისათვის.

გათვალისწინებულია 1966-1970 წლებში განვახორციელოთ სამუშაოები, რათა გავაწყლიეროთ და ავითვისოთ 51,6 მილიონი ჰექტარი საძოვარი უდაბნო, ნახევრადუდაბნო და მაღალი მთის რაიონებში, აგრეთვე სამუშაოები წყალსამეურნეო ნაგებობათა რეკონსტრუქციისათვის წინათ გაწყლიერებულ საძოვრებზე, განვავითაროთ ოაზისური რწყვა მიწისქვეშა წყლების გამოყენებით, ავაშენოთ საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები და სკოლა-ინტერნატები სამეურნეო ცენტრების სეზონურ საძოვრებზე.

სამელიორაციო სამუშაოების განვითარება ჭარბტენიან ზონაში. 1966-1975 წლებში უნდა ამოვაშროთ და სოფლის მეურნეობისათვის ავითვისოთ დაახლოებით 15-16 მილიონი ჰექტარი მიწა და მნიშვნელოვნად ავამაღლოთ დაშრობილ მიწებზე ყველა სასოფლო-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

მოსკოვში ჩამოვიდა შარლ დე გოლი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 20 ივნისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი შარლ დე გოლი.

ვნუკოვოს აეროდრომზე მეგობარი სახელმწიფოს მეთაურს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი და სხვა ოფიციალური პირნი.

ნ. ვ. პოდგორნიმ და გენერალმა შარლ დე გოლმა წარმოთქვეს სიტყვები. (საქტაგი).

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ამხ. ლი დიუ ენი

20 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაციის მეთაური, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლი დიუ ენი.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

შარლ დე გოლი ეწვია ნ. ვ. პოდგორნის

20 ივნისს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი შარლ დე გოლი კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის. (საქტაგი).

შარლ დე გოლი ეწვია ა. ნ. კოსიგინს

მოსკოვი, 20 ივნისი. (საქტაგი). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი შარლ დე გოლი დღეს კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია გაიხსნება 1966 წლის 23 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახი 24, ტელეფონი 9-08-54 და 9-58-19.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 23 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

სამგორის სარწყავი სისტემა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ „სიონის ზღვას", საიდანაც ივრის წყალი სარწყავად ნაწილდება.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ

(დასასრული)

სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, რათა უზრუნველყოთ მარცვლის, სელის, კარტოფილის, ბოსტნეულის, საკვებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოების მყარი ზრდა.

1966-1970 წლებში გათვალისწინებულია განვახორციელოთ სამუშაოები, რათა დავაშროთ ჭარბტენიანი და დაჭაობებული მიწები და აღვადგინოთ წინათ აგებული დასაშრობი სისტემები 6-6,5 მილიონ ჰექტარზე.

ფართოდ გავშალოთ სამუშაოები, რათა დავამთავროთ და სოფლის მეურნეობისათვის ავითვისოთ ჭარბტენიანი მიწები პოლესიეში, რუსეთის სფსრ არაშავნიადაგიან ზონაში, შორეულ აღმოსავლეთში და ამ მიწებზე შევქმნათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მსხვილი რაიონები.

დადგენილია აგრეთვე დავალებანი განვახორციელოთ კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში, რომლებიც დაშრობას არ საჭიროებენ, მათ შორის მდელოების, საძოვრების ძირეული გაუმჯობესების სამუშაოები 9 მილიონ ჰექტარ ფართობზე, აგრეთვე ძაფვე ნიადაგების გაკირიანების სამუშაოები 28 მილიონ ჰექტარ ფართობზე. ადგილობრივმა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გაშალონ მუშაობა მდელოებისა და საძოვრების უმარტივესი გაუმჯობესებისათვის, ტორფის დამზადებისა და გამოზიდვისათვის, რათა დაამზადონ კომპოსტები და შეიტანონ ნიადაგში, აგრეთვე გამოიყენონ პირუტყვის საფენად.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაევალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით შეიმუშაოს 1971-1975 წლებში მიწების ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი, ღონისძიებებში გაითვალისწინოს დაახლოებით 9-9,5 მილიონი ჰექტარი მიწის დაშრობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია:

მნიშვნელოვნად გავადიდოთ რუსეთის სფსრ-ში, ბელორუსიის სს რესპუბლიკასა და უკრაინის სს რესპუბლიკაში დახურული დრენაჟის — მიწების დაშრობის ყველაზე სრულყოფილი და ეკონომიურად ეფექტიანი წესის — მშენებლობა, აგრეთვე განვახორციელოთ დასაშრობი ქსელის მშენებლობის დროს წყლის რეჟიმის ორმხრივი რეგულირება;

გამოვუყოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაშრობილი მიწების ნათესებისათვის, აგრეთვე მდელოებსა და საძოვრებზე შესატანად საჭირო რაოდენობით მინერალური სასუქები, მნიშვნელოვნად გავადიდოთ ორგანული სასუქების გამოყენება და დავნერგოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია;

მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვმოსავლიანი ჯიშების, აგრეთვე მარცვლეული კულტურების ღერომაგარი ჯიშების გამოყვანა;

ავამაღლოთ მიწით მოსარგებლეთა პასუხისმგებლობა დაშრობილი მიწების, მდელოებისა და საძოვრების ეფექტიანი გამოყენებისათვის, უზრუნველვყოთ დასაშრობი სისტემების სწორი ტექნიკური ექსპლოატაცია და წესიერი მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ დასაშრობი ქსელის შინაგანი მეურნეობის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებას;

უზრუნველვყოთ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის ორგანიზაციის სრულყოფა და დავნერგოთ მეცნიერებისა და წარმოების მოწინავეთა მიღწევები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ 1967-1970 წლების გეგმათა პროექტებში გაითვალისწინონ ნედლად დაფქული თაბაშირისა და კირქვის მასალების წარმოება საჭირო მოცულობით.

ჭარბტენიან ზონაში სამელიორაციო სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით დადგენილია, რომ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმოები და ორგანიზაციები ახორციელებენ მიწების დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირეული გაუმჯობესების მთელ სამუშაოებს, მათ შორის კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოებსაც. „საკსოფლტექნიკის“ მექანიზებული რაზმები და სადგურები ახორციელებენ ნიადაგების გაკირიანებისა და გათაბაშირიანების სამუშაოებს, ხოლო იმ რაიონებში, სადაც მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმოები და ორგანიზაციები არ არის, ახორციელებენ აგრეთვე კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაუმჯობესებისათვის. სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის, სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკისა“ და ტორფის მრეწველობის საწარმოები და ორგანიზაციები ასრულებენ ტორფის მოპოვებისა და გამოზიდვის, ტორფის კომპოსტების დამზადებისა და ნიადაგში შეტანის სამუშაოებს, იმ მოცულობით, რასაც განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მონაწილეობდნენ სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელებაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან და სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკასთან“ ერთად დაევალათ განსაზღვრონ სამანქანო-სამელიორაციო და მდელო-სამელიორაციო სადგურების, სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებისა და მექანიზებული რაზმების რაოდენობა და მათი შექმნის ვადები მიწების მელიორაციის სამუშაოთა შესასრულებლად, უზრუნველყონ ისინი საჭირო საწარმოო ბაზით და დააკომპლექტონ კადრებით. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მკვეთრად გაადიდონ ბალახთა თესლის წარმოება, რომ სრულად დაკმაყოფილდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება ამ თესლზე მიხდვრული ბალახთესლისა და მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე საჭირო შემთხვევაში შექმნან სპეციალიზებული მეთესლეობის მეურნეობანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს, ძირეულად გავაუმჯობესოთ **წყალსამეურნეო სისტემებისა და ნაგებობების დაპროექტება,** შევქმნათ მძლავრი საპროექტო ორგანიზაციები და თავი მოვუყაროთ მათ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ უნდა განმტკიცოს წყალსამეურნეო საპროექტო ორგანიზაციები თვალსაჩინო სპეციალისტთა კადრებით, გააფართოონ წყალსამეურნეო საპროექტო ორგანიზაციათა საწარმოო-ტექნიკური ბაზა, უზრუნველყონ წყალსამეურნეო სისტემებისა და ნაგებობების დაპროექტების დროს საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენება.

დადგენილია, რომ წყალსამეურნეო მშენებლობის, მიწების მელიორაციის, მელიორირებულ მიწებზე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის იმ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა წლიურ გეგმებს, რომლებიც დაფინანსების ყველა წყაროთი ხორციელდება, აგრეთვე სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის საპროექტო ორგანიზაციების სამუშაოთა წლიურ გეგმებს ადგენს და ამტკიცებს ეს სამინისტრო. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების საპროექტო ორგანიზაციების სამუშაოთა წლიურ გეგმებში გაითვალისწინოს წყალსამეურნეო ორგანიზაციებისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოების შესრულება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს დაევალათ 1966-1970 წლებში მიწების რწყვის, დაშრობისა და გაწყლიერების რაიონებში აწარმოონ ტოპოგრაფიული და ჰიდროგეოლოგიური აგეგმვა ისეთი მოცულობით, რაც უზრუნველყოფს მიწების რწყვისა და დაშრობის საპროექტო სამუშაოთა შესრულებას. სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ 1966-1968 წლებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით უნდა შეიმუშაოს დიდი მდინარეების აუზებისა და ცალკეული ზონების მიხედვით მიწების რწყვისა და დაშრობის განვითარების სქემები.

მიწების ფართო მელიორაციის გეგმების წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა წყალსამეურნეო ორგანიზაციათა **მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნა.** ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალეს სამელიორაციო სამუშაოთა სულ უფრო მზარდი მოცულობის შესაბამისად მნიშვნელოვნად გაადიდონ ამჟამად არსებული სიმძლავრეები და შექმნან ახალი წყალსამეურნეო სამშენებლო ორგანიზაციები, აღჭურვონ ისინი მექანიზაციისა და ტრანსპორტის საშუალებებით, დააკომპლექტონ მუშებითა და სპეციალისტებით, შეუქმნან მათ საჭირო საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ამ წლებში დასახულია შეიქმნას საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის სპეციალიზებული საწარმოები, რომლებიც საჭიროა გათვალისწინებული მოცულობით წყალსამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად. 1970 წელს ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა საწარმოების სიმძლავრე გადიდდება 4,6 მილიონ კუბურ მეტრამდე. სადრენაჟო თუნის მილების წარმოება წყალსამეურნეო მშენებლობისათვის 1965 წლის 110 ათასი კილომეტრიდან გადიდდება 443 ათას კილომეტრამდე 1970 წელს. სადრენაჟო თუნის მილების წარმოების სიმძლავრეთა გადიდებასთან ერთად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ აგურისა და კერამიკის მრეწველობის მოქმედი და მშენებარე საწარმოების შესაძლებლობანი.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ 1966-1970 წლებში შექმნან წყალსამეურნეო ორგანიზაციებში სარწყავ და დაშრობილ მიწებზე წყალსამეურნეო მშენებლობისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მოძრავი მექანიზებული კოლონები. აღნიშნული კოლონების მუშაკებზე ვრცელდება შრომის ანაზღაურების ის წესი, რომელიც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 ივნისის დადგენილებით სასოფლო მშენებლობის მოძრავი მექანიზებული კოლონების მუშაკებისათვის.

მიწების რწყვის, დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ არის მიჩნეული, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობების სამინისტროებთან შეიქმნას მიწების მელიორაციისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მთელი რიგი საჰმართველოები ვოლგისპირეთში, შორეულ აღმოსავლეთში, პოლესიეში, როსტოვის ოლქში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, უკრაინის სამხრეთში.

წყალსამეურნეო მშენებლობის სამუშაოთა შესრულებაში საიჯარო საწყისებზე მიიღებენ მონაწილეობას სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო, სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრო, საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, გაზის მრეწველობის სამინისტრო. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკათა მშენებლობის სამინისტროები და სოფლის მეურნეობის სამინისტროები.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ძალებით კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით მოაწყოს მიწების რწყვის, დაშრობისა და სხვა იმ სამელიორაციო ღონისძიებათა საპროექტო-საძიებო და სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება მეურნეობათა სახსრებისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე, აგრეთვე შიდასამეურნეო სარწყავი და დასაშრობი ქსელის რემონტისა და გაწმენდის სამუშაოები.

მიწების მელიორაციის გეგმების განხორციელება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული **სამელიორაციო სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციასა** და სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვაზე, მოწინავე ტექნოლოგიისა და მაღალი წარმადობის ახალი მანქანების დანერგვაზე. ამ მიზნით სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და სხვა უწყებებს დაევალათ შეიმუშაონ და დაამზადონ ახალი სრულყოფილი სამელიორაციო და სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სარწყავი მანქანები, შექმნან ამ ტექნიკის დამატებითი საწარმოო სიძლავრენი. გათვალისწინებულია მოხდეს მთელი რიგი საკონსტრუქტორო-ბიუროების სპეციალიზაცია წყალთა მეურნეობის საჭიროებისათვის მანქანათა დასაპროექტებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს დაევალათ 1967-1970 წლებში გამოჰყონ და მიაწოდონ სამელიორაციო ტექნიკის მწარმოებელ საწარმოებს ტრაქტორები, სამელიორაციო მანქანების დასაკომპლექტებლად საჭირო ძრავები, კვანძები და დეტალები. გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს სიმძლავრეები სამელიორაციო სისტემათა მშენებლობისა და რემონტის დროს გამოყენებული მანქანებისა და მოწყობილობის წარმოებისათვის, აგრეთვე ამ მანქანებისა და მოწყობილობის სათადარიგო ნაწილების წარმოებისათვის.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო და მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოები ვალდებულია არიან 1966-1970 წლებში ააშენონ და სექსპლოატაციოდ გადასცენ მიწათსათხრელი ტექნიკის ახალი ქარხნები და სარემონტო სახელოსნოები, რეკონსტრუქცია უყონ ამ დანიშნულების მოქმედ საწარმოებს. გაერთიანება „საკსოფლტექნიკამ“ და მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წყალსამეურნეო ორგანიზაციათა მთლიანი მოთხოვნილების მოცულობით შესრულდეს ტრაქტორებისა და სხვა ტექნიკის საჭირო სარემონტო სამუშაოები. სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ უნდა მოაწყოს სატუმბავი სადგურების, დასაწვიმი მანქანებისა და მიწების რწყვისათვის საჭირო სხვა ტექნიკის დამზადება და კომპლექტური მიწოდება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1966-1970 წლებისათვის განსაზღვრეს იმ **კაპიტალურ დაბანდებათა** მოცულობა, რომლებიც მოხმარდება წყალსამეურნეო მშენებლობას, კულტურ-ტექნიკურ სამუშაოებს, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა განვითარებას, საბინაო-კომუნალურ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობასა და მელიორირებული მიწების ათვისებასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს, 14,32 მილიარდი მანეთის ოდენობით, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის — 9,34 მილიარდი მანეთი.

კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიური ეფექტიანობის გადიდებისა და სარწყავი და დაშრობილი მიწების ათვისების ვადების შემცირების მიზნით, დადგენილია, რომ წყალსამეურნეო მშენებლობა ხორციელდება ამ მიწების ათვისების ღონისძიებებთან ერთად. უამირ და დაუსახლებელ რაიონებში წყალსამეურნეო სისტემათა აგებასთან ერთად უნდა აშენდეს საწარმოო სათავსები, საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები, გზები და სხვა ობიექტები. საჭიროა განხორციელდეს ტერიტორიათა კეთილმოწყობა და გაშენება, დაბების ელექტროფიკაცია, ტელეფონიზაცია და რადიოფიკაცია.

მელიორაციის ფართო პროგრამის განსახორციელებლად 1966-1970 წლებში მიზნობრივი დანიშნულებით გამოიყოფა საჭირო **მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.** მიწოდებულ იქნება 30 ათასზე მეტი ექსკავატორი, 28 ათასი ბულდოზერი, 18 ათასი სკრეპერი, ტ-100 მარკის 10 ათასი ტრაქტორი, 12 ათასი საძირკვავი მანქანა და ჯაგსაჭრელი, 25 ათასი მძიმე დისკოებიანი ფარცხი, 15 ათასი ქვაასაწმენდი მანქანა, 40 ათასზე მეტი თხრილსათხრელი, 76 ათასი დასაწვიმი და სარწყავი მანქანა, 48 ათასი მოძრავი სატუმბავი სადგური, 230 ათასი ტუმბო, 80 ათასი სატვირთო ავტომობილი, 1 მილიონზე მეტი სხვადასხვანაირი მილი და სხვა მასალები.

გათვალისწინებულია გამოიყოს საშენი მასალები სამელიორაციო სამუშაოებისათვის, რომლებიც კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სახსრებითა და ბანკის კრედიტებით სრულდება, და კოლმეურნეობათა მიწების დაშრობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო ხარჯებისათვის გათვალისწინებული სახსრებით.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელებისათვის საჭირო მანქანების, მოწყობილობისა და მასალების წარმოება და მიწოდება მიჩნეული უნდა იყოს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დავალებათა შესრულებად.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ ევალებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი სასოფლო დასახლებული პუნქტებისა და მეცხოველეობის ფერმების წყალმომარაგების გაუმჯობესების თაობაზე.

მელიორირებული მიწების სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება ეძლევათ 1966-1967 წლებში განახორციელონ სარწყავი და დაშრობილი მიწების ერთდროული ინვენტარიზაცია, ამასთან უზრუნველყონ ყველა მეურნეობა შესაბამისი დოკუმენტაციით. ინვენტარიზაციის მონაცემების საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში გამოუყენებელი მიწების აღსადგენად. 1967 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით განახორციელონ სარწყავი, დასაშრობი და გასაწყლიერებელი სისტემებისა და ნაგებობათა პასპორტიზაცია, ამავე დროს შეაფასონ ისინი მოქმედი ფასების საფუძველზე და უზრუნველყონ შემდგომში სამელიორაციო კადასტრის სისტემატური წარმოება. სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წინადადება მიეცა ყოველწლიურად 1 ნოემბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში აღრიცხოს სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენება. აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ამ მიწებზე მოყვანილი პროდუქციის მოცულობა.

დადგენილებაში განსაზღვრულია ღონისძიებანი, რომ გაფართოვდეს კადრების მომზადება და გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიწების მელიორაციის დარგში. 1970 წელს სტუდენტთა მიღება ჰიდრომელიორაციის ინსტიტუტებში და ფაკულტეტებზე გადიდდება 6500-მდე, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღება — 18.600-მდე. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ევალებათ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად განიხილონ ის საკითხები, რომ შეიქმნას ინსტიტუტები, აგრეთვე ფაკულტეტები და სპეციალური კურსები არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც მოამზადებენ ინჟინრებსა და ეკონომისტებს სამელიორაციო მშენებლობისა და სარწყავი და დაშრობილი მიწების ათვისებისათვის, მემდელოე აგრონომებს, კულტურტექნიკოსებს, ნიადაგმცოდნეებს, მელიორატორებს და ჰიდროგეოლოგ მელიორატორებს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტრთა საბჭოებმა 1966-1970 წლებში უნდა განახორციელონ საჭირო მოცულობის მშენებლობა იმ უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რომლებიც წყალთა მეურნეობის სპეციალისტებს ამზადებენ, და უზრუნველყონ ყოვლისა ნოვოჩერკასკის საინჟინრო-სამელიორაციო და ჯამბლის ჰიდროსამელიორაციო-სამშენებლო ინსტიტუტების, უკრაინის წყალთა მეურნეობის საინჟინრო ინსტიტუტის, კიევის საინჟინრო სამშენებლო ინსტიტუტის, ტაშკენტის სოფლის მეურნეობის ირიგაციისა და მექანიზაციის საინჟინრო ინსტიტუტის, სასწავლო შენობების, ლაბორატორიების, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის საცხოვრებელ სახლებისათვის, აგრეთვე მოსკოვის ჰიდრო სამელიორაციო ინსტიტუტის სტუდენტთა ს ერთო საცხოვრებლებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრ საბჭოებს, სსრ კავშირის მელიორაციისა წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სს კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომ ტეტს ევალებათ მომავალი ხუთწლეულ განმავლობაში ააგონ შენობები ახლადშ მნილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლ ლებისათვის, აღჭურვონ ისინი საჭირო ტ ნიკით და მოამზადონ საერთო სამშენებ მექანიზატორთა და სხვა პროფესიის 270 ათ სი კვალიფიციური მუშა წყალსამეურნეო მშ ნებლობისათვის.

1966 წლის 1 ივლისიდან ექსკავატორებ დასაწვიმი აგრეგატების, მიწასაწოვი მანქან ბის, მოძრავი და სტაციონარული სატუმბ სადგურების მემანქანეებზე, გრეიდერისტ ზე, ტრაქტორისტებზე, სკრეპერისტებსა ბულდოზერისტებზე, რომლებიც სსრ კავ რის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობ სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურ ნეობის სამინისტროს, სრულიად საკავშირ გაერთიანება „საკსოფლტექნიკისა“ და მა საქვეუწყებო ორგანოების წყალსამეურნ სისტემებისა და ნაგებობების მშენებლობ და ექსპლოატაციაზე მუშაობენ, ვრცელდ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საბჭოთა მ ურნეობების ტრაქტორისტ-მემანქანეთა შრ მის ანაზღაურების წესი და პირობები, აგრ თვე სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტ ჟისათვის დანამატის გადახდა, რაც დაწესებ ლია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კ ვშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირ პროფსაბჭოს 1966 წლის 22 აპრილის დადგ ნილებით.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალ მეურნეობის სამინისტრომ სსრ კავშირის მ ნისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის კითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კ შირის სოფლის მეურნეობის სამინისტრ თან, სრულიად საკავშირო გაერთიანება „ სოფლტექნიკასთან“ და საკავშირო პროფს ჭოსთან ერთად უნდა შეიმუშაოს და სსრ კ შირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს ნადადებანი სამშენებლო და ექსპლოატ ციო წყალსამეურნეო ორგანიზაციათა მუ კების შრომის ანაზღაურების შეცვლის შ ნებ ამ მიზნით, რომ გადიდდეს მათი მატ ალური დაინტერესება მუშაობის მაჩვენებ თა გაუმჯობესებით, აგრეთვე წინადადებ საბჭოთა მეურნეობების მუშათა წახალის შესახებ სარწყავ და დაშრობილ მიწებზე სოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი Sავლის მოყვანისათვის.

იმ მიზნით, რომ მეცნიერთა ძალები წარ მართოს მელიორაციისა და წყალთა მეურ ობის ძირითადი პრობლემების გადასაჭ ლად, გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევით მუშაოთა კოორდინაცია, უსწრაფესად დ ნერგოს მეცნიერული კვლევის შედეგები რმოებაში და განმტკიცდეს ლაბორატორიუ საწარმოო ბაზა, მიზანშეწონილად მიჩნეულ მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინს ტუტები უშუალოდ დაექვემდებაროს სსრ ვშირის მელიორაციისა და წყალთა მეურ ობის სამინისტროს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და ს კავშირის მინისტრთა საბჭომ მტკიცე რწ გამოთქვეს, რომ პარტიული, საბჭოთა ორ ნიზაციები, სასოფლო-სამეურნეო და წყ სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები საბჭოთა მეურნეობები, სოფლის მეურნ ბის ყველა მშრომელნი, სკკპ XXIII ყრი ბის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებ ნი, გააჩაღებენ საყოველთაო-სახალხო ბრ ლას მიწათმოქმედების კულტურის ამაღ ბისათვის, მიწების ძირეული გაუმჯობესე სათვის, მარცვლეული და სხვა სასოფლო-მეურნეო კულტურების უხვი და მყარი მ Sავლის მოყვანისათვის.

პოლიგრაფიის მუშაკთა დახილდოება

შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაში აქტიური მონაწილეობისათვის და მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის პოლიგრაფიულ მრეწველობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პოლიგრაფიულ საწარმოთა მუშაკების დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში დაჯილდოვდნენ:

შრომის წითელი დროშის ორდენით — სალიაშვილი ნიკოლოზ გრიგოლის-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატის მბეჭდავი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — ალხაზაშვილი გიორგი ივლიანეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორის მოადგილე, მთავარი ინჟინერი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — კარაბანიკოვი ლეონიდ ანდრიას-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატის მბეჭდავი. (საქდენი).

ერაყის პრემიერ-მინისტრი ბაზაზი ეწვევა საბჭოთა კავშირს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ სთხოვა ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს აბდელრაჰმან ალ-ბაზაზს მისთვის ხელსაყრელ დროს ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში. ბაზაზი ამ მიწვევაზე კმაყოფილებით დათანხმდა. მიღწეულია შეთანხმება, რომ პრემიერ-მინისტრი ბაზაზი მოსკოვში ჩამოვა მიმდინარე წლის 27 ივლისს.

სელი მოაღწევს დოკუმენტებს საბჭოთა კავშირ-კორეის თანამშრომლობის შესახებ

მოსკოვი, 20 ივნისი. (საქდენი). დღეს ტელეგრამა ხელი მოაწერეს შეთანხმებებს სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, 1967-1970 წლებში ორივე ქვეყანას შორის საქონლის ურთიერთმიწოდების თაობაზე, აგრეთვე თევზჭერის დარგში საბჭოთა კავშირ-კორეის თანამშრომლობის ოქმს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია კანადაში გაემგზავრება

კანადის პარლამენტმა სთხოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას საპასუხო ვიზიტად ჩავიდეს კანადაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კმაყოფილებით დათანხმდა ამ მიწვევაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი.

კანადაში დელეგაციის ვიზიტის დამთავრების შემდეგ დ. ს. პოლიანსკი რამდენიმე დღეს დარჩება ამ ქვეყანაში როგორც კანადის მთავრობის სტუმარი.

მელიორაცია სიუხვის სამსახურში

მეცნიერული რეკომენდაციები

დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, წყალთა მეურნეობის დარგში წამოჭრილი საკითხების რაციონალურად გადაწყვეტისათვის და სარწყავი მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაშია და ამ პროფილის ინსტიტუტებს შორის საბჭოთა კავშირში მოწინავედ არის მიჩნეული.

როგორც ცნობილია, პარტიის XXIII ყრილობამ, ხოლო შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მაისის პლენუმმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ძირითად პირობად აღიარეს სამელიორაციო სამუშაოთა უკვე დასახული გრანდიოზული პროგრამის შესრულება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღება.

რას აკეთებენ ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის პარტიის ამ დიად მიზანდასახულობათა შესასრულებლად ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, კონკრეტულად რა დახმარებას უწევენ აქ მომუშავე მეცნიერი მუშაკები ჩვენს სოფელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დასაჩქარებლად, სარწყავი მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად? ამ საკითხებზე ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა დასახელებული ინსტიტუტის დირექტორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მ. გაგოშიძეს.

კითხვა: ჩვენი რესპუბლიკა ცნობილია როგორც მცირემიწიანი, მაგრამ მეტად ხელსაყრელი კლიმატური პირობებისა და ძვირფასი ტექნიკური კულტურების რესპუბლიკა, თქვენი ინსტიტუტი კი თითქმის სამი ათეული წელიწადია მუშაობს ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხების შესწავლასა და გადაჭრაზე. რა ზოგადი დასკვნის გამოტანა შეიძლება თქვენი კოლექტივის ამ მრავალი წლის გამოცდილების შედეგად?

პასუხი: ზოგადად თუ ვიტყვით, დასკვნა ასეთია: საქართველოში გვაქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ საგრძნობლად გავადიდოთ ისეთი ძვირფასი კულტურების მოსავლიანობა, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, ყურძენი, თამბაქო და ა. შ. რასაკვირველია, ამ ამოცანის მიღწევა გაგვიჭირდება, თუ კურსს ავიღებთ მხოლოდ იმაზე, რომ გავადიდოთ ნათესებისა და პლანტაციების ფართობები. სწორია, რომ საქართველო მცირემიწიანი რესპუბლიკაა, მაშასადამე, ნათესების ფართობების შეუზღუდველი ზრდის შესაძლებლობა გარკვეულად განსაზღვრულია. ესეც არ იყოს, მეცნიერებამ და პრაქტიკამ დიდი ხანია ცხადყო, რომ ჩვენს დროში უფრო მიზანშეწონილი და ეკონომიკის თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელია მოსავლიანობის ზრდა უზრუნველვყოთ არა ფართობების გადიდებით, არამედ სავარგულთა ყოველი ჰექტარის ნაყოფიერების ამაღლებით. ყოველი ჰექტარის ნაყოფიერების ამაღლების საწინდარია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია, რაც ნიშნავს ნიადაგის ეროზიის, დამლაშების, დაჭაობების აღკვეთას, გვალვის გავლენის ნეიტრალიზაციას, ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებას.

ამისათვის, ე. ი. მაღალი მოსავლის მიღების უზრუნველყოფისათვის, საჭიროა სარწყავ ფართობებზე ყველა იმ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციის ზუსტად და მაღალხარისხოვნად განხორციელება, რომლებსაც მეცნიერები აძლევენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს რწყვის რეჟიმის, რწყვის ტექნიკისა და ილეთების შესახებ. ცხადია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მელიორაციული მეცნიერების მიერ გაცემული რეკომენდაციების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული აგროტექნიკურ ღონისძიებათა მაღალხარისხოვნად შესრულებაზე. უამისოდ მოსავლის გადიდების ყოველი ცდა ფუჭი იქნება.

კითხვა: ამჟამად საქართველოში დაწყებულია კოლხიდის ველის დაშრობის და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სამუშაოების შესრულება. რა ახალი პრობლემები წამოიჭრა თქვენი ინსტიტუტის წინაშე ამ დიდი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით?

პასუხი: ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა ახლახან დაიწყო. ჯერ ნაადრევია ლაპარაკი ახალი პრობლემების დაყენებაზე, თუმცა ალაზნის ველის ინტენსიური ათვისების საკითხებს ჩვენი ინსტიტუტი უკვე რამდენიმე წელია სწავლობს. ამას ქვემოთ შევეხები. კოლხიდის შესასწავლად კი ჩვენი ინსტიტუტი ფართო მასშტაბის კვლევით სამუშაოებს აწარმოებს. ეს კვლევითი სამუშაოებია: კოლხიდის წყლის ბალანსის შესწავლა, მძიმე თიხიანი ნიადაგის ჰიდრავლიკურ-ფიზიკური თვისებების გაუმჯობესების ღონისძიებათა დასახვა, მდინარეთა კალაპოტების გამოყენება საშრობი ქსელით დაწრეტილი წყლის მისაღებად და ა. შ.

კითხვა: რას გვეტყვით იმ რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც თქვენს ინსტიტუტში დამუშავდა და გადაეცა წარმოებაში დასანერგავად?

პასუხი: ჩვენს ინსტიტუტში ამ ბოლო ხანებში დამუშავებულია და უკვე გადავეცით საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მომავალი 1967 წლის განმავლობაში დასანერგავად 20 მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაცია. ეს რეკომენდაციები შეეხება კახეთის პირობებში ვენახების მორწყვის რეჟიმის დადგენას, ალაზნის ველის მლაშე ფართობების გამტკნარებისა და ათვისების საქმეს, სარწყავი და საშრობი არხების საწმენდი მანქანების გამოყენებას, ტერასირებულ ფართობებზე კულტურების რწყვის წესებსა და ილეთებს, სელური ნიაღვრებისაგან სავარგულთა დასაცავი ელასტიური ბადურა-ნაგებობების მოწყობას და ა. შ.

თუ რა ეკონომიური ეფექტი უნდა მოგვცეს ამ რეკომენდაციების განუხრელმა რეალიზაციამ, შევჩერდები მარტო ორი რეკომენდაციის განმარტებაზე:

კახეთის პირობებში ვენახების მორწყვის ოპტიმალური რეჟიმი ჩვენმა მეცნიერმა მუშაკებმა დაადგინეს იმის შესაბამისად, თუ როგორია ამა თუ იმ სავენახე ნაკვეთებში ნიადაგის ტენიანობა, ჰაერის ტემპერატურისა და ტენის დეფიციტი. ამასთან შემუშავებულია დეტალური ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ, რა ვადებში და რა წესით უნდა მორწყან ვენახი რწყვის რეჟიმის ისე დაცვით, როგორც ინსტრუქციით არის გათვალისწინებული. უკვე შესწავლილ ფართობებზე, რომლებიც 10 ათას ჰექტარ ვენახს შეადგენს, ყურძნის მოსავალი, როგორც არაერთგზისმა ცდამ ცხადყო, გაიზარდა 50 პროცენტით, მაშასადამე, თუ ახლა ამ ფართობებზე საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 40 ცენტნერს აღწევს, მივიღებთ 60 ცენტნერს, ხოლო სულ შესწავლილ 10 ათას ჰექტარზე დამატებით 6.500 ათასი მანეთის ყურძენს.

ალაზნის ველზე დამლაშებულია და არსებითად უსარგებლო ყამირად არის გადაქცეული 23 ათასი ჰექტარი ფართობი. რამდენიმე წლის წინათ ამ ფართობიდან ცდების დასაყენებლად შევარჩიეთ 114 ჰექტარი ადგილობრივი პირობების შესაბამისი ტიპური დამახასიათებელი ნაკვეთი. შედეგები უაღრესად წარმატებულია. ჩვენს მიერ უკვე გამტკნარებულ და ათვისებულ 114 ჰექტარ ნაკვეთზე ყოველწლიურად, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, გვალვისა თუ მოსავლისათვის არასასურველი სხვა მოვლენებისა, საშუალოდ ჰექტარზე მოგვყავს 30-35 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, 24 ცენტნერი მზესუმზირა. 400 ცენტნერი ბაღჩეული კულტურები და 100 ცენტნერი თივა.

ეს ცდები სავსებით ცხადყოფს, რომ ნიადაგის გასამტკნარებლად გარკვეული სამუშაოების გაწევით სავსებით შესაძლებელი იქნება მივიღოთ მთელ ამ 23 ათას ჰექტარ ფართობზე ასეთივე მოსავალი, რაც რესპუბლიკას ყოველწლიურად დამატებით მისცემს 3-4 მილიონ ფუთ მარცვალს. სამამისო რეკომენდაციაც გულდასმით და დეტალურად არის დამუშავებული და გადაცემულია დასანერგავად. იგივე უნდა ვთქვათ ეკონომიური ეფექტიანობის მცირე მეტნაკლებობის აღნიშვნით დანარჩენი 18 რეკომენდაციების შესახებ.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ რეკომენდაციების პრაქტიკაში დასანერგავად ყველა იმ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობას, სადაც სარწყავი ფართობები აქვთ, გვჭირდება კვალიფიციური მელიორატორები, სარწყავი არხების სათხრელი და საწმენდი მექანიზმები და ამ მექანიზმებს დაუფლებული მექანიზატორები. ასეთი კვალიფიციური კადრებით კი ჩვენი რესპუბლიკა მდიდარი არ არის. ამის გამო დადგა საკითხი, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან ხელახლა შეიქმნას ჰიდროსამელიორაციო ფაკულტეტი დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებით და ორივე ამ განყოფილებაზე წელს მიიღონ სულ ცოტა 100 კაცი. გარდა ამისა, გადაწყვეტილია მოეწყოს კურსები მრეწველობისა და საკოლმეურნეო წყალთა მეურნეობის სხვა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

კოლხეთის მიწაზე



საბჭოთა ხელისუფლების წლებში სასწაულებრივად იცვალა სახე უძველესმა კოლხეთის მიწამ. საბჭოთა ადამიანი შეებრძოლა ქაოსსა და მალარიას, განხორციელდა დიდი სამელიორაციო ღონისძიებები. არხებით დაიქსელა კოლხიდა.

მაგრამ რაც გაკეთდა, საკმარისი როდია. პარტიის XXIII ყრილობამ ამოცანად დასახა მელიორაციისა და ირიგაციის კიდევ უფრო განვითარება, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია — მიმდინარე ხუთწლედში 90 ათასი ჰექტარი კოლხიდის მიწა მთლიანად ათვისებულ უნდა იქნას. ახლა აქ ყველგან გაიგონებთ მძლავრი ბულდოზერების, ექსკავატორების, მიწისმწოვი მანქანების გუგუნს. ამ სურათზე ამ დიდი ლაშქრობის ერთ უბანს ხედავთ — დარჩელის კოლმეურნეობის ფართობებზე მიმდინარეობს კოლექტორული არხის რეკონსტრუქცია.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ახალ მიწაზე

ეს იყო სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ. გურიის გლეხკაცობა დაეძებდა თითო მტკაველ მიწის სავარგულებს პალიასტომის ტბის სანაპიროებზე. დაჭაობებულ მიწებს პრიმიტიული არხებით აშრობდნენ, რათა ცოტა მოსავალი მაინც მოეწიათ. სამწუხაროდ, იშვიათი იყო ისეთი წელი, რომ სიმინდის ყანები ფიჩორის წყალს ან რომელიმე სხვა მდინარეს არ წაელეკა.

საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების შემდეგ გაძლიერდა შეტევა კოლხეთის ჭაობის ასათვისებლად. მაგრამ დაჭაობებული მიწების ამოშრობის დიდი მასშტაბის სამუშაოები ხუთი წლის წინათ დაიწყო. აგუგუნდნენ მძლავრი ექსკავატორები, მიწის სათხრელი მანქანები, ტრაქტორები. ეს არ იყო მარტო მიწისათვის ბრძოლა. ეს იყო კოლხეთის ჭაობიან ადგილებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის არსებობის საუკეთესო პირობების შექმნის ჩინებული ღონისძიებანი.

უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე 5.650 ჰექტარი მიწა ამოაშრეს. 44 კილომეტრი გაიყვანეს შიდა სამანქანო გზები, აიგეს ახალი რკინაბეტონის კაპიტალური ხიდები, 2.600 მეტრზე მოაწყეს რკინაბეტონის მილ-ხიდები. აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში შესრულებულია ათასობით კუბმეტრი მიწის სამუშაოები.

— იმ მიწებზე, სადაც ახლა საუკეთესო მოსავალი მოგვყავს, წინათ ჭაობი იყო, — გვითხრა ლანჩხუთის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ...ვით ცინცაბაძემ. ახლა ამ მიწებზე საშუალოდ ჰექტარზე 6-10 ცენტნერით მეტი სიმინდის მოსავალი მოგვყავს, ვიდრე წინა წლებში.

ჩოლაბარგის, ნიგოითის, ქვიანის, ლანჩხუთის, შუხუთის კოლმეურნეობები ახალ ... მოსავალს იღებენ. ჩოლაბარგის კოლმეურნეობამ ნაჭაობარზე 20 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გააშენა, 2 ჰექტარი — დაფნა, 3 ჰექტარზე — ხეხილის ... სუბტროპიკული კულტურები გააშენეს სოფლების ნიგოითის, ჭყონაგორისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებმა.

— გადაწყვეტილია ახალ ხუთწლედში ... მიწაზე გაშენდეს სუბტროპიკული კულტურების ერთი მძლავრი საბჭოთა მეურნეობა, — თქვა ტრესტ „კოლხიდმშენის“ ლანჩხუთის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა გივი ...ურიძემ. ამიტომ ამოშრობილ მიწებზე განვახორციელებთ ბუჩქნარების გაკაფვის, ამოძირკვის, ბორცვაკების მოსწორების, მიწების გაშლელობის სამუშაოებს.

...ების მელიორაციის შედეგად ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებს უახლოეს წლებში გადაეცემათ სულ ცოტა 20 ათასი ჰექტარი საუკეთესო სახნავ-სათესი ადგილები, საძოვრები.

„კოლხიდმშენის“ კოლექტივი დიდ მუშაობას ეწევა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ჭაობიანი მიწების ამოშრობად. მიმდინარე სეზონში სანაპიროზე ... 550 ჰექტარი მიწის ამოშრობა. ... გაშენდება ჩაის პლანტაციები და სხვა სუბტროპიკული კულტურები.

ტრესტ „კოლხიდმშენის“ კოლექტივს, გარდა მიწების ამოშრობისა, კიდევ ერთი დიდი სასარგებლო საქმე აქვთ მინდობილი — ჩაის პლანტაციების სარწყავი ქსელის მოწყობა. „კოლხიდმშენის“ ლანჩხუთის სამშენებლო უბანს მიზნად აქვს დასახული ახალ ხუთწლედში უზრუნველყოს 3.000 ჰექტარი ჩაის მოსავლიანი პლანტაციის მორწყვა. დიდი სამუშაოებია ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. აქ დასასრულს უახლოვდება წყალგამტარი მილების ჩაწყობის სამუშაოები. სარწყავი ქსელის სათავე ნაგებობა მოწყობილია მდინარე სუფსის აუზთან, რომელიც მუდამჟამს წყალუხვია. 1967 წლის მაისში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ნასაკირალის სარწყავი ქსელი.

ამ ქსელით ნასაკირალის მეურნეობა მორწყავს 777 ჰექტარ ფართობს, მათ შორის 500 ჰექტარ ჩაის პლანტაციას. ამავე არხით მოირწყვება მელექედურის კოლმეურნეობის 250 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ბოხვაურისა და ლაშის კოლმეურნეობების ჩაის პლანტაციები.

— მორწყვის შედეგად ჩვენი მეურნეობის ჩაის პლანტაციის თვითეული ჰექტარი წინა წლებთან შედარებით მოგვცემს სულ ცოტა 400-500 კილოგრამით მეტ ჩაის მოსავალს, — განაცხადა საუბარში ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა **თეოფილე მგელაძემ.**

ახალ ხუთწლედში მოეწყობა ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციების მორწყვის სამუშაოები, რაც მდიდარ ჰექტარებს შემატებს მეურნეობას. ლაითურელები დიდ იმედებს ამყარებენ სარწყავ სისტემაზე. იგი ორჯერ გაზრდის მოსავლიანობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში სერიოზული წვლილი უნდა შეიტანონ „კოლხიდმშენის“ ლანჩხუთის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მშენებლებმა, მექანიზატორებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა. ისინი მამაცურად შრომობენ. შარშან დავალება 114 პროცენტით შეასრულეს, მიმდინარე წლის ხუთი თვის დავალება კი 104 პროცენტით.

ქების ღირსი არიან მამაცი ადამიანები — **შალვა წურწუმია, ამირან ჩხარტიშვილი, გელა ჩუბინიძე, ბონდო ჭანტურია, ოთარ მაჭავარიანი, იპოლიტე ჯაიანი** და სხვები.

ჩაის პლანტაციების მორწყვის განხორციელებაში დიდი საქმე მინდობილი აქვთ ინჟინერ **ვალერიან შარაშენიძეს,** ინჟინერ-ტექნიკოსებს—**ტ. მექვაბიშვილს, პ. ჩიტაიშვილს, გ. ჭანუყვაძეს** და სხვებს. მამაცური შრომით გამოირჩევიან მეესკავატორეები — **ვ. საყვარელიძე, თ. ვლადოვი,** რომლებიც ყოველდღიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. ასევე ითქმის შრომის ვეტერან **შ. ორმოცაძეზე.** იგი წლების მანძილზე ენერგიულად იბრძვის კოლხიდის ამოშრობისათვის.

მომავალში უფრო ნაყოფიერად იშრომებენ კოლხიდის მშენებლები, მელიორატორები, რათა კოლხიდის მიწებმა მალე მოგვცეს მეტი ხვავი და ბარაქა.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გუგუნებენ ველის ხომალდები

მზემ კავკასიონის ზვიად მწვერვალებს „ხანძარი“ გაუჩინა. ცოტაც და მთაბარში ღამე დამკვიდრდა. მინდორველი ცვარმა დანამა. მკა გაძნელდა. **შალვა შუბითიძემ** კომბაინის აგრეგატი დილამდე გააჩერა და ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებულ სოფლისაკენ გაეშურა. ივახშმა. ახალი ჟურნალ-გაზეთების კითხვა რომ დაამთავრა, ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და ციფრები ჩაწერა. წუთით დაფიქრდა და გადაიკითხა:

ტიბაანელმა კომბაინერმა **ბიჯი ლათიბაშვილმა** 12 სამუშაო დღეში 220 ჰექტარი ყანის მომკა იკისრა. გამოდის, რომ ყოველდღიურად თვრამეტ ჰექტარზე ცოტა მეტი უნდა მომკას. კაცმა რომ თქვას, ბევრი არ არის. მონდომება მითხარი, თორემ მეტის მომკაც შეიძლება.

მტრედისფრად რომ ინათა, შალვა კომბაინთან იყო. აგრეგატის ყველა ნაწილი გულდასმით გასინჯა. ის იყო, კიბით საჭესთან უნდა ასულიყო, რომ ნაცნობი ხმა მოესმა:

— შალვა, როგორა ხარ, ხომ არაფერი გიჭირს?

კოლმეურნეობის თავკაცს ხელი ჩამოართვა და ღიმილით უთხრა:

— რა უნდა მიჭირდეს. როგორც იტყვიან, „ბურთი და მოედანი“ ჩემს ხელთ არის „ქულებს“ შევაგროვებ. გადავწყვიტე ყოველდღიურად ოცი ჰექტარი პური მოვმკა. სოციალისტურ შეჯიბრებაში მეზობელი კოლმეურნეობის კომბაინერს **მაკარ მეძლიძეს** ვიწვევ.

შალვა შუბითიძე ოცდასამი წელია მექანიზატორად მუშაობს. აქედან თექვსმეტ წელზე მეტი კომბაინის საჭეს მართავს. გამოცდილებაც დიდი აქვს და მონდომებაც. ამიტომ არის, რომ წარმატებებს ამრავლებს. პირველ დღეს ცხრამეტი ჰექტარი ყანა მომკა, მეორე დღეს კი ოცი. საველე საშრობში ხუთასი ცენტნერი ოქროსავით ხორბალი გაგზავნა.

ყარსუბნის კოლმეურნეობაში მარტო შუბითიძეს როდი უქებენ მარჯვენას. **ა. გოგოლაძე** ახალგაზრდაა, მაგრამ კომბაინის მართვაში ერთსა და ორს როდი სჯობნის. დღე არ გავა ისე, რომ გეგმის გადამეტებით 5-6 ჰექტარი ყანა არ მომკას. პირველი ექვსასი ცენტნერი ხორბალი შემატა ყარსუბნელთა დოვლათს. მიმდინარე სეზონში 250 ჰექტარის მომკა იკისრა, ამის განაღდებაში ეჭვი არავის ეპარება.

„აბანოს ნაკვეთში“ წელს ხორბლის დიდი მოსავალია. „უფხო-1“ის თავთავებს მარცვალთა სიმრავლისაგან თავი დაუხრიათ. კომბაინერი **ბ. ბრიგოლაშვილი** შეუფერხებლად იღებს მოსავალს. წამდაუწუმ ბუნკერის დაცლას აუწყებს ავტომანქანის მძღოლებს, სამ დღეში ათას ცენტნერზე მეტი ხორბალი დააბინავა კალოზე.

ორასი ჰექტარი თამბაქო, ასობით ჰექტარი სიმინდი, პირუტყვმრავალი ფერმები! ვინ ჩამოთვლის ყარსუბნის კოლმეურნეობის სიმდიდრეს. საქმე ყველგან ბევრია, მაგრამ ალოობის ცხარე დღეებში სოფლის თავკაცი ფორე ხუციშვილი მეტ დროს მოსავლის აღებას ანდომებს. ასეც უნდა იყოს— მოსავლის აღება ხომ სეზონური საქმეა.

— წელს, — თქვა ხუციშვილმა, — 630 ჰექტარი ხორბალი გვითესია. ზამთრისა და გაზაფხულის ნახევარი ისე გავიდა, რომ მიწას ნამი არ უნახავს, მაგრამ სიბეჯითემ თავისი გაიტანა, მოსავალი უხვია. ჰექტარზე საშუალოდ ჩვიდმეტ ცენტნერზე ნაკლები არ გამოდის. სახელმწიფოს 2.300 ცენტნერის ნაცვლად 3.000 ცენტნერ პურს მივყიდით. მოსავლის აღება თორმეტ სამუშაო დღეში უნდა დავამთავროთ. ასე გადავწყვიტეთ.

ცხარე დღეებია ვარდისუბნის კოლმეურნეობის ველ-მინდვრებშიც. 780 ჰექტარზე „უფხო-1“ უდგიათ. მექანიზატორები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მკა არ დაგვიანდეს. მაკარ მეძლიძემ 65 წელს გადააბიჯა, მაგრამ ვინმემ სინჯოს და მუშაობაში გაუტოლდეს! გეგმით გათვალისწინებული 140 ჰექტარის ნაცვლად ორასი ჰექტარის მომკა იკისრა და ველის ხომალდი აავგუნა, ორ დღეში შვიდასი ცენტნერი ხორბალი გალეწა.

ფ. ზუბენკო, ა. კირვალიძე, კ. ხარაიშვილი! რომელი ერთი ვთქვათ. მოსავლის აღების დღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებენ.

ხვავები მრავლდება ცოდნისკარის, ლაგოდეხის, ულიანოვკის, თუ სხვა კოლმეურნეობების საშრობ კალოებზეც. მოსავლის აღება ყველგან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ახალი ხუთწლედის პირველ წელს, — თქვა პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. უნბიაძემ,** — პურეული ასაღები გვაქვს ცხრა ათას ჰექტარზე, ალოობა ორგანიზებულად დაიწყო, ყანებში ოთხმოცი კომბაინია გასული. რაიონის მშრომელთა გადაწყვეტილებაა მოსავლის აღება თორმეტ სამუშაო დღეში დაამთავრონ. სახელმწიფოს გეგმით 1.350 ტონა ხორბალი უნდა მივყიდოთ. ფაქტიურად 2.000 ტონაზე მეტს მივყიდით.

ლაგოდეხელები მოსავლის აღებას ჩქარობენ. მაგრამ ბევრი რამე უშლით ხელს. ავიღოთ თუნდაც ყარსუბნის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობა. აქ თოთხმეტი ავტომანქანიდან მხოლოდ ექვსი მუშაობს. დანარჩენი სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო გაჩერებულია. ერთი ავტომანქანა „გაზ-51“ შესაკეთებლად თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანას 19 მაისს ჩააბარეს. ხელშეკრულების თანახმად მანქანა 5 ივნისს უნდა მიეღოთ. დროულად მიაკითხეს, მაგრამ ამაოდ: 25 ივლისამდე არ ჩამოხვიდეთო, უპასუხეს. დილმის სარემონტო ქარხანაში 13 მაისს მიიტანეს ავტომანქანის ორი ძრავი. ერთი 25 ივლისს იქნება მზად, მეორე კი არ ვიცითო, ასე „დაამედეს“ დილმელებმა ყარსუბნელი ავტომძღოლები.

მომკილი ნაკვეთებიდან ნამჯა სწრაფად უნდა გამოიზიდოს და ნაწვერვალი მოიხნას, მაგრამ ეს საქმე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს **ივანე გოგნაძეს** დღემდე არ გახსენებია. ტრაქტორები მზად არ არის. „დტ-75“ მარკის ხუთი ტრაქტორი უქმად დგას. სიჩქარის ყუთის კბილანები ლაგოდეხში კი არა, თბილისშიც ვერ იშოვნეს.

მთელი რიგი კოლმეურნეობების ხელმძღვანელები მექანიზატორთა კადრებით უზრუნველსაყოფად სათანადოდ არ ზრუნავენ. ამიტომ არის, რომ იარაღ-მანქანების ნაწილი ცდება. ვარდისუბნის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ი. გოგეჯიშვილი**) „ს-6“ მარკის კომბაინი იმის გამო, რომ კომბაინერი ავად გახდა, მომცდარია, შემცვლელი არა ჰყავთ. ყარსუბნის კოლმეურნეობაში მეშტურვალეები აკლიათ.

არის სხვა ნაკლიც, ლაგოდეხის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა შემჩნეული ნაკლოვანებანი დროულად უნდა გამოასწორონ.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის მოწინავე კომბაინერმა ზ. ზურაშვილმა ვალდებულება იკისრა ჰექტარზე მიიღოს 20 ცენტნერი ხორბალი. იგი ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს ვალდებულებას.
სურათზე: კომბაინერი ზ. ზურაშვილი.
ფოტო ი. დავითაშვილისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

საზღვარგარეთის ცხოვრება

მშვიდობის პოლიტიკა!

პარიზი. „მშვიდობა ვიეტნამს!“, „შევაჩეროთ ამერიკის აგრესია!“, „საყოველთაო განიარაღებისათვის!“, „არავითარი უცხოეთის ბაზა საფრანგეთში!“, „არავითარი ატომური იარაღი დასავლეთ გერმანიას!“ — ასეთი პლაკატები მოჰქონდათ დღეს პარიზის ქუჩებში მრავალათასიანი დემონსტრაციის მონაწილეებს. დემონსტრაცია მოეწყო „საფრანგეთის მშვიდობის პოლიტიკის ეროვნული დღეების“ დასასრულს. ეს არის ფართო კამპანია, რომელიც მოეწყო საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ინიციატივით. დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ გაიმართა მიტინგი. მიტინგზე წაიკითხეს „მიმართვა ფრანგებისადმი“, რომელიც მიიღეს მშვიდობის ეროვნული ასამბლეის მონაწილეებმა. პარიზის გარეუბან ვილჟიუიფში. (საქდესი).

ლორანის გამოსვლა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

პარიზი, 20 ივნისი. (საქდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე პოლიტიკური მდგომარეობისა და ერთიანი ფრონტის განვითარების და არჩევნების მომზადებისათვის პარტიის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა პ. ლორანმა. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში. საფრანგეთის კომუნისტური პარტია მსხვილი მონოპოლისტური ბურჟუაზიის მოწინააღმდეგე მთავარი ძალა გახდა. მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ძალები შეუერთდნენ ოპოზიციას, განმტკიცდა დემოკრატიულ პარტიათა და დაჯგუფებათა კავშირი ახლანდელი რეჟიმის წინააღმდეგ და მთელი რიგი ეკონომიური და პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ფრანგ კომუნისტთა წინაშე მდგომ ამოცანებს. საქმე ეხება იმას, თქვა მან, რომ შეიცვალოს დიდი ქვეყნის პოლიტიკის ძირითადი ორიენტაცია. ხელისუფალნი და მსხვილი კაპიტალისტები ყველა დარგში ადგანან ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის უაღრესად რეაქციულ კურსს. გასაკვირი არ არის, რომ, მაშინ როცა ხორციელდება მშრომელთა ინტერესების ესოდენ საწინააღმდეგო პოლიტიკა, ფართოვდება და სულ უფრო აქტიურდება მათი ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის.

პ. ლორანმა დაახასიათა კომპარტიის პოზიცია საგარეო პოლიტიკის დარგში და აღნიშნა საფრანგეთის მთავრობის ზოგიერთი ღონისძიება, რომლებიც შეეხება: საფრანგეთის ჯარების გამოყვანას ნატოდან; ამერიკის ბაზების გაუქმებას საფრანგეთის ტერიტორიაზე; სოციალისტურ ქვეყნებთან დაახლოებას, რასაც მოწმობს კუვ დე მიურვილის ამასწინანდელი ვიზიტი მოსკოვში და საფრანგეთის პრეზიდენტის მომავალი ვიზიტი საბჭოთა კავშირში; ამერიკის აგრესიის დაგმობას ვიეტნამის მიმართ.

პ. ლორანმა შემდეგ დაწვრილებით ჩამოაყალიბა პირველად პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები საარჩევნო კამპანიის საქმეში.

პრეზიდენტი კეკონენი ნორვეგიაში

ოსლო, 20 ივნისი. (საქდესი). აქ არაოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ფინეთის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი. იგი შეხვდება პრემიერ-მინისტრ ბორტენს და ნორვეგიის მთავრობის სხვა წევრებს.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეცნიერული ექსპერიმენტი

სოგრა (არხანგელსკის ოლქი). საბჭოთა და ფრანგი მეცნიერები ერთად აწარმოებენ ექსპერიმენტს წყნარი მზის საერთაშორისო წლის პროგრამის მიხედვით სოგრა (არხანგელსკის ოლქი) — კერგელენის (ინდოეთის ოკეანე) მაგნიტურ-ძალისმიერ ხაზზე. დედამიწის ამ ორ წერტილში ისინი იკვლევენ რთულ ურთიერთკავშირებს გეოფიზიკურ მოვლენებს შორის.

უკვე განხილულია ამ ექსპერიმენტის შედეგები. მეცნიერები კმაყოფილი არიან იმით, რომ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა თანამეგობრობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. სურათზე ხედავთ ფრანგ ფიზიკოს როჟე ჟანდრენს, რომელიც სოგრეს ობსერვატორიაში სოფლის სკოლის უფროსკლასელებს უკითხავს ლექციას ფიზიკაში.

ფოტო ს. მაისტერმანისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

მშვიდობის ეროვნული კონფერენცია

პარიზი, 18 ივნისი. საქდესის კორესპონდენტი ი. პონომარიოვი იტყობინება:

„საფრანგეთის მშვიდობის პოლიტიკისათვის!“ — ეს ლოზუნგი, რომელიც გაკრულია ვილჟიუიფის თეატრის შენობაზე ზუსტად ასახავს მშვიდობის ეროვნული ასამბლეის დელეგატთა დისკუსიის თემას. ეს დისკუსია დღეს დაიწყო პარიზის ამ მუშათა რაიონში.

ამ ბოლო კვირეების მანძილზე საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მოწოდებით საფრანგეთის ბევრ ქალაქში გაიმართა კრებები, კოლოკვიუმები, დისკუსიები, რომლებზეც შეიმუშავეს მშვიდობისა და საყოველთაო განიარაღების ეროვნული პოლიტიკის ძირითადი თეზისები. დღეს კეთილი ნების ადამიანთა წარგზავნილები, რომლებიც საფრანგეთის ყოველი კუთხიდან ჩამოვიდნენ, განიხილავენ ადგილებზე გამოთქმულ წინადადებებს და მიიღებენ მშვიდობის ეროვნულ პროგრამას.

ვილჟიუიფის ასამბლეა იმ ფართო კამპანიის მხოლოდ ერთ-ერთი ღონისძიებაა, რომელიც ამ დღეებში ეწყობა საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა ინიციატივით. დღეს საფრანგეთის ბევრი დეპარტამენტიდან დედაქალაქისაკენ გამოემგზავრნენ დელეგაციები, მშვიდობის ქარავნები. ხვალ ისინი ვერსალის კართან, პარიზის სამხრეთ გარეუბანში შეიკრიბებიან.

კონგოს ტრიბუნალის განაჩენი

ბრაზავილი, 18 ივნისი (საქდესი). როგორც ლეოპოლდვილიდან იტყობინებიან, დღეს კონგოს დედაქალაქში საგანგებო ტრიბუნალმა კონგოს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს კლეოფას კომიტატას ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა პრეზიდენტ მობუტუს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. შეთქმულების მიზანი იყო პრეზიდენტის მოკვლა.

საგანგებო ტრიბუნალის განაჩენით სიკვდილით დაისაჯა შეთქმულების ოთხი მთავარი ხელმძღვანელი. ამასთანავე კონგოს მთავრობამ „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადა ბელგიის საელჩოს პირველი მდივანი რენსი.

მერედიტის მარში

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. (საქდესი). „მერედიტის მარშის“ მონაწილეებს შეუერთდა მისისიპის შტატის პატარა ქალაქ ბელზონის 2 ათასზე მეტი ზანგი. მარშის მონაწილეებმა ჩაიარეს ბელზონის მთავარ ქუჩებში და ქალაქის სასამართლოს შენობასთან მოაწყვეს მიტინგი ამერიკის შეერთებული შტატების ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის მხარდასაჭერად.

დღეს „მერედიტის მარშის“ მონაწილენი აწყობენ ადგილობრივი ფოსტის შენობის პიკეტირებას, სადაც მიმდინარეობს ამომრჩეველთა რეგისტრაცია. მათ სურთ, რომ ქალაქის ყველა ზანგი მოსახლე რეგისტრაციაში გატარდეს, როგორც ამომრჩეველი.

თხიტ ჩი კუანგი შიმშილობს

ლონდონი, 20 ივნისი. (საქდესი). უკვე მე-12 დღეა შიმშილობს სამხრეთვიეტნამელ ბუდისტთა ლიდერი თხიტ ჩი კუანგი, რომელიც მოითხოვს კის სამხედრო ხუნტის გადადგომას. ამას გუშინ იტყობინება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი.

მიწისძვრა სამხრეთ აფრიკაში

პარიზი, 18 ივნისი. (საქდესი). დღეს დილაადრიან სამი-ოთხი ბალის სიძლიერის მიწისძვრამ ბიძგები სამი წუთის განმავლობაში იგრძნეს ნატალის პროვინციას (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და ბასუტოლენდის აღმოსავლეთ რაიონებს.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იოჰანესბურგიდან იტყობინება, მიწისძვრის შედეგად დაზიანდა ბევრი შენობა. ცნობები მსხვერპლის შესახებ არ არის.

სხვადასხვა მერიდიანზე

ჰანოი. ამერიკის თვითმფრინავებმა, რომლებსაც ბაზა აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტის ხომალდებზე და სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდში, 17 ივნისს კვლავ დაბომბეს ფუანგბინის, ხატინის, ნეანისა და თხანჰოის პროვინციების დასახლებული რაიონები და სამრეწველო ობიექტები. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ინტერვენტთა სამხედრო გემებმა 16 ივნისს შემოიჭრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში და ცეცხლი დაუშინეს მებადურთა სამ ნავს. ზღვის მეკობრეებმა ჩაძირეს ეს ნავები და ძალით წაიყვანეს 12 მებადური.

ვაშინგტონი. ვიეტნამის ომი—ეს არის ჯონსონის ომი და არა ამერიკელი ხალხის ომი, განაცხადა კონგრესმენმა ფორდმა (რესპუბლიკელი მიჩიგანის შტატისაგან), რომელმაც სიტყვა წარმოთქვა დალასში. ფორდმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „აწარმოებენ გამოუცხადებელ ომს“. „ეს ჯონსონის ომია აგრეთვე იმიტომ, რომ პრეზიდენტი ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტს“ — განაცხადა კონგრესმენმა.

ფორდმა ჯონსონს მოსთხოვა საჯარო ახსნა-განმარტება ვიეტნამში მისი პოლიტიკის შესახებ.

გუაიაკილი. პროფკავშირებისა და გლეხთა საზოგადოების წარმომადგენელნი, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ ეკვადორის ინდიელ გლეხებს, შეხვდნენ ქვეყნის პრეზიდენტს კლემენტე იეროვი ინდაბურუს, რათა გაეცნოთ თავიანთი მძიმე მდგომარეობა და დაეყენებინათ საკითხი, რომ მთავრობამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს კანონი ნამდვილი აგრარული რეფორმის შესახებ. ამ რეფორმის ფარგლებში მიწა უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს იმათ, ვინც მას ამუშავებს.

ახალი ამბების სააგენტოს განყოფილება საქართველოში

გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის კრება, რომელიც მოიწვიეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, რესპუბლიკის მწერალთა კავშირმა, საზოგადოება „ცოდნამ“, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ. კრება მიეძღვნა ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილების შექმნას.

დარბაზში შეიკრიბნენ სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავენი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მეცნიერები, ჟურნალისტები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ძ. ა. როდიონოვმა.

შეკრებილთ ახალი ამბების სააგენტოს მუშაობასა და ამოცანებზე მოუთხრო ასს-ის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მდივანმა ამხ. ბ. ს. ბურკოვმა.

ინფორმაციით, თუ როგორ შუქდება ასს-ის საზღვარგარეთულ გამოცემათა ფურცლებზე საბჭოთა საქართველოს ცხოვრება, გამოვიდა ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. მ. ნ. ლორთქიფანიძე.

საქართველოში ახალი ამბების სააგენტოს განყოფილების შექმნის დიდ მნიშვნელობაზე ილაპარაკა თავის სიტყვაში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა ამხ. ი. ი. ხომერიკმა.

არჩეულ იქნა ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილების გამგეობა 42 კაცის შემადგენლობით.

გაიმართა ასს-ის საქართველოს განყოფილების გამგეობის სხდომა, რომელმაც გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი ამხ. ვ. მ. სირაძე. თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ამხ. გ. ნ. ჯიბლაძე და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. დ. გ. მჟედლიშვილი.

გამგეობის მდივნად არჩეულია ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. მ. ნ. ლორთქიფანიძე.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა

სულ უფრო მჭიდრო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა მყარდება სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ელექტრონიკის, ქიმიისა და თანამედროვე ეკონომიკის სხვა უმნიშვნელოვანეს დარგებში. ორივე ქვეყნის მეცნიერები, ინჟინრები და ტექნიკოსები ერთად მუშაობენ საანგარიშო-სათვლელი მანქანების, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, რადიოკომპონენტების, სხვადასხვა ქიმიური პროდუქტის, ნავთობის მოპოვების წარმოების სრულყოფისათვის. ახლახან დაიდო შეთანხმება საფრანგეთის ნავთობის ინსტიტუტთან შლანგ-კაბელით ბურღვის მეთოდის შემუშავებაში თანამშრომლობის შესახებ. ამ მეთოდს მთელი რიგი უპირატესობანი აქვს ნავთობის ჭაბურღილების ბურღვის სხვა არსებულ წესებთან შედარებით. ამავე ინსტიტუტთან ერთად მუშავდება იზობუთილენიდან და ფორმალ-დეჰიდიდან იზოპრენის წარმოების პროცესი.

გრძელდება მოლაპარაკება ფირმა „რენოსთან" მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ იმის შესახებ, რომ ეს ფირმა მოწყობილობას მიაწვდის საბჭოთა კავშირს და მონაწილეობას მიიღებს მსუბუქი ავტომანქანების ზოგიერთი ქარხნის რეკონსტრუქციაში. როგორც ცნობილია, მსუბუქი ავტომანქანების წარმოება სსრ კავშირში ხუთწლიანი გეგმით დასახულია გადიდდეს 800 ათასამდე წელიწადში. სწავლობენ შესაძლებლობებს, რომ უფრო ფართოდ გაუზიარონ გამოცდილება ერთმანეთს რკინიგზის ტრანსპორტის დარგში (ელმავალმშენებლობა, ხალიანდაგო მეურნეობის ავტომატიზაცია).

წარმატებით გაიშალა მუშაობა ფერადი ტელევიზიის ერთობლივი სისტემის „სეკამ-3"-ის სამრეწველო დანერგვისათვის. განხორციელდა პარიზიდან მოსკოვში საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის „მოლნია-1"-ის საშუალებით ფერადი ტელევიზიის ამ სისტემით ექსპერიმენტული გადაცემები. ამას წინათ ასეთი გადაცემა მოეწყო მოსკოვიდან პარიზში.

სულ უფრო გაცხოველებით მიმდინარეობს ტექნიკური დელეგაციებისა და ცალკეული სპეციალისტების გაცვლა. შარშან საფრანგეთს ეწვია საბჭოთა მეცნიერებისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების 56 ჯგუფი, სსრ კავშირმა საფრანგეთიდან კი 66 დელეგაცია მიიღო.

წელს საბჭოთა სპეციალისტები გაეცნობიან საფრანგეთის ისეთი დიდი ფირმების საწარმოთა მიღწევებს, როგორიცაა „ცსფ", „ტომსონ-ჰიუსტონი", „რონ-პულენკი", „სპესია", „რენო" და სხვები. ჩვენი მეცნიერები მონაწილეობას მიიღებენ ნანსის გამოსათვლელი ტექნიკის ინსტიტუტის, ორსის ელექტრონიკის ინსტიტუტის, პარიზის ობსერვატორიის, გრენობლის ინსტიტუტისა და სხვა ცენტრების საკვლევ სამუშაოებში.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი ისწრაფვიან კიდევ უფრო გააფართოონ ნაყოფიერი თანამშრომლობა, ამას ახასიათებს მათ შორის მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების გაზიარება. ეს ურთიერთობა ემსახურება ორივე ქვეყნის ინტერესებს, მშვიდობის საქმეს.

მევიოლინეთა ლაურეატები

მოსკოვი, 18 ივნისი. (საკდესი). დღეს საღამოს ცნობილი გახდა ჩაიკოვსკის სახელობის მესამე საერთაშორისო კონკურსის მევიოლინე ლაურეატთა სახელები. პირველი პრემია მიენიჭა ვიქტორ ტრეტიაკოვს (სსრ კავშირი). ორი მეორე პრემია მიიღეს მასუკო უსიოდამ (იაპონია) და ოლეგ კაგანმა (სსრ კავშირი). ორი მესამე პრემია მიენიჭა იოკო სატოს (იაპონია) და ოლეგ კრისას (სსრ კავშირი). მეოთხე პრემია მიენიჭა ნიკოლას ჩუმაჩენკოს (არგენტინა), მეხუთე პრემია — ზინოვი ვინიკოვს (სსრ კავშირი), ორი მეექვსე პრემია — ერიკ ფრიდმანს (ამერიკის შეერთებული შტატები) და რუბენ აგარონიანს (სსრ კავშირი). მეშვიდე პრემია არავის არ მიენიჭება. მერვე პრემიას მიიღებს ჩარლზ კასლმენი (ამერიკის შეერთებული შტატები).

ჩაიკოვსკის სახელობის მესამე საერთაშორისო კონკურსის დიპლომები გადაეცემათ ემი ვირკეის (პოლანდია), ვოიტეხ გლინკას (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა), ანტუან გულარს (საფრანგეთი), ეველიო ტიელეს (კუბა).

ახალი პრემია

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა დააწესა სპეციალური პრემია ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის მონაწილეებისათვის. პრემია ენიჭება საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა საუკეთესო შესრულებისათვის.

ამ საპატიო ჯილდოს პირველი მფლობელი გახდა ბულგარელი ვიოლონჩელისტი სტეფან პოპოვი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფოტო ხ. კილაძისა.

სსრ კავშირი-მექსიკა

ესწრაფვიან რა საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას, მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე სსრ კავშირის მთელი რიგი სხვა ქალაქების საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა წამოაყენეს წინადადება საბჭოთა კავშირში შეიქმნას მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება „სსრ კავშირი-მექსიკა".

მოსკოვში გაიმართა საინიციატივო ჯგუფის სხდომა. სხდომის მონაწილეებმა მოიწონეს საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა წინადადება, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება „სსრ კავშირი-მექსიკა", რომლის მთავარი ამოცანა იქნება საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ხალხებს შორის კულტურული თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განვითარება. (საკდესი).

შ. პ. კვიცარიძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა შიო პოლიევქტოს-ძე კვიცარიძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ჟანგოვანა ხათითურას პრეპარატების გამოყენება როგორც საგულე საშუალებებისა. (კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევები)."

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა შ. პ. კვიცარიძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

კიდევ ერთი წარმატება

სკა (ოდესა) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:2 (0:1). ოდესა. 19 ივნისი. „ჩერნომორეცის" სტადიონი. მსაჯი — ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

უკანასკნელ მატჩებში ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ნამდვილად გაგვახარეს. წარმატებას წარმატება მოსდევს, იმატა ქულების რაოდენობამ, ტორპედოელები სატურნირო ცხრილში ქვალდაქვალ მიჰყვებიან თავიანთ უფროს ძმას — თბილისის „დინამოს".

ოდესის არმიელებთან მატჩში ქუთაისელებმა გვიჩვენეს შემტევი ფეხბურთი, შემოქმედებითი ბრძოლა და წარმატებაც კანონზომიერი იყო.

ტორპედოელებმა მეტოქის კარი დასაწყისშივე აიღეს. გ. ნოდიამ ჩინებულად გამოიყენა მცველის ზახაროვის შეცდომა და ბურთი მეტოქის ბადეში გაახვია. არმიელმა ფეხბურთელებმა კონტრთამაშით უპასუხეს, მაგრამ უშედეგოდ.

ტაიმის შედეგი იყო 1:0 სტუმართა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში ტემპმა იმატა, მასპინძლები წონასწორობის აღდგენას ესწრაფოდნენ. იყო მომენტი (62-ე წუთი), როდესაც სტაევი პირისპირ აღმოჩნდა კვასხვაძესთან, გვერდი აუარა ამ უკანასკნელსაც, მაგრამ ბურთი ღია კარს ააცილა.

ტორპედოელთა კონტრიერიშები უფრო ორგანიზებული და ეფექტური იყო. აქტიურად მოქმედებდნენ გარემარბები, ნახევარმცველები. 75-ე წუთზე ერთიერთი კომბინაცია კუტივაძემ გოლით დააგვირგვინა.

დარჩენილ წუთებს შედეგი არ მოუცია. გაიმარჯვეს ქუთაისელებმა 2:0.

ტორპედოს შემადგენლობაში იყვნენ — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წეერავა, ებრალიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ასიტაშვილი (ზარია), პითანავა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, გ. ნოდია.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში წარმატება მასპინძლებს ხვდა 1:0.

უკანასკნელ თხუთმეტ წუთში...

სკა (დონის როსტოვი) — „დინამო" (თბილისი) 1:2 (1:0). დონის როსტოვი. 19 ივნისი. „როსსელმაშის" სტადიონი. მსაჯი — ე. ხიარმსი (ტალინი).

მატჩის მნიშვნელობას კომენტარი არ სჭირდება. ბრძოლის სიმწვავე მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობით იყო გამოწვეული. მაყურებლებმა ნახეს შესანიშნავი თამაში, ლამაზი ფეხბურთი.

უკანდასახევი გზა არც ერთს არ ჰქონდა — როსტოველები ისწრაფოდნენ ერთპიროვნული ლიდერობისაკენ, თბილისელებს კი, რომლებსაც უკანასკნელ მატჩებში ვერ დაუმდურებით, პოზიციის გაუმჯობესება სწადდათ.

დინამოელებს ამ შეხვედრაშიც არ უღალატნიათ სისტემისათვის 4+3+3. უნდა ითქვას, რომ მოთამაშეთა ასეთ განლაგებას ჯერჯერობით მათთვის სასურველი შედეგი მოაქვს — ხუთ თამაშში არც ერთი დამარცხება, ამასთანავე აქტივში შვიდი ქულა — კარგი შედეგია!

პირველ ტაიმში ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იყო. ორივე გუნდი მოქმედებდა ტემპიანად, ძალთა მობილიზებით. წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს. ეს მოხდა 33-ე წუთზე. მარცხენა ფრთიდან წინ გაიჭრა მცველი კრივობოროდოვი და ხელსაყრელ პოზიციიდან კარგად ჩააწოდა ბურთი კარის გასწვრივ. იქვე აღმოჩნდა ბუროვი და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

მეორე ნახევარი თბილისელებმა ინიციატივიანად და მეტი მონდომებით ჩაატარეს. თავდამსხმელთა ტრიოს (დათუნაშვილი, ბარქაია, მესხი) აქტიურად უერთდებოდნენ ხან იამანიძე, ხან ილიადი. ერთ-ერთი იერიშის დროს დათუნაშვილის ძლიერი დარტყმის მოგერიების ნაცვლად როსტოველთა მცველმა ჩერტკოვმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი — 1:1. ეს მოხდა 76-ე წუთზე.

თბილისელებს ამის შემდეგაც არ შეუნელებიათ შემტევი ბრძოლა და მალე წარმატებასაც მიაღწიეს. თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე საჯარიმოდან მესხის მიწოდებით დათუნაშვილმა მეორე და გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

გაიმარჯვეს დინამოელებმა 2:1.

თბილისელთა შემადგენლობაში იყვნენ — ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჩელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მესხი.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩის შედეგია 3:2 თბილისელთა სასარგებლოდ.

სსრ კავშირის თასზე

გაიმართა მატჩები ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. ვორონეჟში ადგილობრივი „ტრუდი" დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივმა" 1:0. ასეთივე ანგარიშით გროზნოში „თერეკმა" მოუგო ბათუმის „დინამოს".

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 21 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კ.)	11	8	3	0	25-2	19
„სპარტაკი" (მ.)	12	7	3	2	15-7	17
სკა (როსტ.)	12	8	1	3	25-19	17
„პახტაკორი" (ტ.)	12	5	7	0	14-8	17
„ნეფტიანიკი" (ბ.)	13	5	5	3	20-10	15
„ტორპედო" (მ.)	12	5	4	3	19-13	14
„დინამო" (თბ.)	12	4	5	3	14-9	13
ცსკა	12	4	5	3	20-18	13
„ტორპედო" (ქ.)	13	6	1	6	19-22	13
„არარატი" (ერ.)	12	4	4	4	10-11	12
„კაირატი" (ალმ.)	12	5	2	5	11-13	12
„ზენიტი" (ლ.)	13	5	1	7	14-21	11
„დინამო" (მ.)	12	4	2	6	11-16	10
„დინამო" (მნ.)	13	3	4	6	12-19	10
„ჩერნომორეცი" (ო.)	12	2	5	5	10-14	9
„შახტიორი" (დ.)	12	4	1	7	11-16	9
„კრ. სოვეტ." (კუიბ.)	12	2	4	6	9-19	8
სკა (ო.)	12	1	4	7	4-15	6
„ლოკომოტივი" (მ.)	11	2	1	8	10-21	5

მატჩები და შედეგები

გასულ კვირადღეს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეცამეტე ტურის მატჩები ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა შეხვედრა ბაქოში ადგილობრივი „ნეფტიანიკისა" და გათამაშების ლიდერის — კიევის „დინამოს" გუნდებს შორის. ბრძოლა შეუპოვარი იყო, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მაგრამ მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „ტორპედო" მინსკს ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „დინამოსთან". მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომლის ავტორი სტრელცოვი იყო. ტორპედოელებმა აქტივში ორი ქულა ჩაიწერეს.

ერევანში ერთმანეთს შეხვდნენ ოდესის „ჩერნომორეცისა" და ერევნის „არარატის" გუნდები. 90 წუთი ისე ამოიწურა, რომ კარები აუღებელი დარჩა. ფრე — 0:0.

მიმდინარე ჩემპიონატში ტაშკენტის „პახტაკორი" დაუმარცხებლად იბრძვის და ლიდერთა ჯგუფში იმყოფება. მორიგი ტურის მატჩი ტაშკენტელებს საკუთარ მოედანზე ჰქონდათ დონეცკის „შახტიორთან" და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

მატჩი ლენინგრადში „ზენიტისა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდებს შორის უხვგოლიანი აღმოჩნდა. მოწინააღმდეგეებმა 5 ბურთი გაიტანეს. აქედან სამი ლენინგრადელებმა და გამარჯვებაც მათ ხვდათ. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში დანიშნული იყო 4 „პენალტი". კუიბიშეველებმა ორივე გამოიყენეს, ლენინგრადელებმა — ერთი.

სამი „ოქრო"

ტოლიდო (ამერიკის შეერთებული შტატები), 19 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ. ოლეგ ანიჩკინი). ყველაზე მეტი — სამი ოქროს მედალი მოიპოვეს საბჭოთა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა აქ დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე. ეს ჯილდოები მოიპოვეს მაჰაჩყალელმა ალი ალიევმა, მოსკოველმა ალექსანდრე ივანიცკიმ და მინსკელმა ალექსანდრე მედვედმა. ალიევი და ივანიცკი ჭიდაობის ისტორიაში პირველად გახდნენ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები, მედვედი კი სამგზის ჩემპიონია.

ქვესაშუალო წონაში ვერცხლის მედალი ხვდა თბილისელ გურამ საღარაძეს. დანარჩენი საბჭოთა მოჭიდავეები პრიზიორთა რიცხვში ვერ მოხვდნენ და ამიტომ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა თურქეთის ნაკრები, რომელმაც 34 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან სსრ კავშირი — 28 ქულა, ამერიკის შეერთებული შტატები — 28 ქულა, ბულგარეთი და ირანი — 19-19 ქულა.

შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირმა ორი ოქროს მედალი მოიპოვა და მესამე ადგილზე გამოვიდა. სპეციალისტთა აზრით საბჭოთა მოჭიდავეები გამოირჩეოდნენ მაღალი ტაქტიკური ოსტატობით და შემტევი სტილით.

ათასობით მაყურებელი შეხვედრების დროს გაეცნო ჩვენებურ საბრძოლო ილეთებს, რომლებიც მათ უჩვენეს სსრ კავშირის ნაკრების გუნდის მწვრთნელებმა ალექსანდრე დიაკინმა და ბახტანგ ბალავაძემ.

ტრადიცია არ დაირღვევა

გუშინ სოხუმში დამთავრდა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მეათე ტრადიციული მატჩი.

უკანასკნელი ტურის შეხვედრებს გუნდური პირველობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონია, რადგან საბჭოთა მოჭადრაკეებმა ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე გაინაღდეს პირველი ადგილი.

ბოლო ტურში საბჭოთა გროსმაისტერმა **კორჩნოიმ** დაამარცხა **ველიმიროვიჩი**, დანარჩენ პარტიათა უმრავლესობა ყიმით დამთავრდა. სატურნირო ცხრილის ნახევარ-ნახევარი ქულა ჩაიწერეს პარნოლმოვმა, დესპოტოვიჩ-კუზმინმა, კოვ-ლუტიკოვმა, ჩირიჩ-ვასიუკოვმა, ტულოვიჩ-გურგენიძემ, ცვეტკოვიჩ-გრუძემ.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. • საერთო ანგარიშია 37,5:22,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. საღამოს გაიმართა მატჩის საზეიმო დახურვა; გამარჯვებულებს დასაჩუქრება.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკავშირო-რესპუბლიკური მთავარი სამმართველო გარდაიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკავშირო-რესპუბლიკურ მთავარ სამმართველოდ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა ამხ. მ. გ. კოდუა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

21 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ კიხოტი (მე-5 და მე-14 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მზიანი ღამე, **გრიბოედოვის სახელობის** — კინოს გადაღება (მე-10 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **ფილარმონიის საზაფხულო** — თბილისის სახელმწიფო ცენტრალური თეატრის გასტროლები (სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ობრაზცოვის ხელმძღვანელობით) — ჯადოსნური კალოში (დასაწყ. დღის 2 ს.), ღვთაებრივი კომედია (სად. 8 ს. 30 წ.), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — კ. ვილკომირსკი (ფორტეპიანო), მ. ვილკომირსკაია (ფორტეპიანო). საღამოს 8 ს. და 30 წ. (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა).

ტელევიზია

21 ივნისი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — კინოალმანახი: „ვინ უფრო გვიყვარს", 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „ადამიანებო, გაფხიზლდით!", 19.00 — კონცერტი ბავშვებისათვის, 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — სატელევიზიო ნარკვევი „დარიალის ხეობაში", 20.20 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.40 — „საღამოს შეხვედრები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი — „მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი საშუალო სასკოლო ასაკში" (სტუდიაში პროფესორი რევაზ ნათაძე), 21 — კინოკომედია „დონ-კიხოტის შვილები", 23.05 — გადაცემათა პროგრამა 22 ივნისისათვის, 23.10 — „ლიტერატურული საშაბათო" (გადმოცემა მოსკოვიდან).

22 ივნისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — უფროსკლასელთათვის მხატვრული ფილმი, 19.10 — სატელევიზიო ნარკვევი, „ზღვა უხმობს", 19.20 — კინოჟურნალი, 19.30 — „უძლეს და გაიმარჯვეს" (გადმოცემა ბრესტიდან), 20.10 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა", 20.30 — გადაცემა „ქართველი მოძღვრები" — ნათელა ტუღუში, 21.10 — „გადასახადს არ საჭიროებს" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21 — გერმანული სატელევიზიო ფილმი „სინდისის ილუზიები" — პირველი სერია (ქართულ ენაზე).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1966-67 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების განყოფილებებზე

(ქართული სექტორი)

დღის სწავლების განყოფილებაზე მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

I. **მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი** — ა) მექანიკა, ბ) მათემატიკა;

II. **ფიზიკის ფაკულტეტი** — ა) რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, ბ) ფიზიკა (1. სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოდ 2. პედაგოგიური განხრით), გ) დიელექტრიკებისა და ნახევრადგამტარების ფიზიკა;

III. **კიბერნეტიკის ფაკულტეტი** — ა) კიბერნეტიკა, ბ) სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკა;

IV. **ქიმიის ფაკულტეტი** — ქიმია;

V. **გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი** — ა) გეოგრაფია (სპეციალიზაციები: 1. საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფია უცხო ენების სწავლებით, 2. გეომორფოლოგია, 3. ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობა), ბ) გეოლოგია — სპეციალობები: 1. გეოლოგიური აგეგმვა და სასარგებლო წიაღისეულ ძებნა, 2) სასარგებლო წიაღისეულთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები, გ) ხმელეთის ჰიდროლოგია;

VI. **ბიოლოგიის ფაკულტეტი** — ბიოლოგია;

VII. **ისტორიის ფაკულტეტი** — ისტორია;

VIII. **ფილოსოფიის ფაკულტეტი** — ა) ფილოსოფია, ბ) ფსიქოლოგია;

IX. **ფილოლოგიის ფაკულტეტი** — ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ბ) კავკასიური ენები, გ) ჟურნალისტიკა;

X. **დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი** — ა) ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბ) გერმანული ენა და ლიტერატურა, გ) ფრანგული ენა და ლიტერატურა;

XI. **აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი** — ა) სპარსული ენა და ლიტერატურა, ბ) თურქული ენა და ლიტერატურა, გ) სემიტოლოგია, დ) არმენოლოგია, ე) აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობა;

XII. **ეკონომიური ფაკულტეტი** — ა) მრეწველობის დაგეგმვა, ბ) შრომის ეკონომიკა, გ) ვაჭრობის ეკონომიკა, დ) ფინანსები და კრედიტი, ე) საბუღალტრო აღრიცხვა, ვ) სოფლის მეურნეობის დაგეგმვა, ზ) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა, თ) პოლიტიკური ეკონომია, ი) ეკონომიური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია, კ) სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა და ვაჭრობის ორგანიზაცია, ლ) სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა და ვაჭრობის ორგანიზაცია;

XIII. **იურიდიული ფაკულტეტი** — სამართლისმცოდნეობა;

შენიშვნა: 1. ჟურნალისტიკის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სამართლისმცოდნეობის სპეციალობების დღის განყოფილებაზე მიიღებიან ის პირნი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა. ამასთანავე ჟურნალისტიკის სპეციალობაზე მიიღებიან ისინი, ვისაც უნარი გამოიჩინა ლიტერატურულ მოღვაწეობაში.

2. რუსულ სექტორზე მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: ა) რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, ბ) ფიზიკა (სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოდ), გ) დიელექტრიკებისა და ნახევრადგამტარების ფიზიკა, დ) კიბერნეტიკა, ე) რუსული ენა და ლიტერატურა, ვ) კავკასიური ენები.

საღამოს სწავლების განყოფილებაზე მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

I. **მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი** — მათემატიკა;

II. **ფიზიკის ფაკულტეტი** — ფიზიკა;

III. **ქიმიის ფაკულტეტი** — ქიმია;

IV. **ისტორიის ფაკულტეტი** — ისტორია;

V. **ფილოლოგიის ფაკულტეტი** — ა) ქართული ენა და ლიტერატურა;

VI. **დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი** — ა) ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბ) გერმანული ენა და ლიტერატურა, გ) ფრანგული ენა და ლიტერატურა;

VII. **ეკონომიური ფაკულტეტი** — ა) მრეწველობის დაგეგმვა, ბ) შრომის ეკონომიკა, გ) ვაჭრობის ეკონომიკა, დ) ფინანსები და კრედიტი, ე) საბუღალტრო აღრიცხვა, ვ) სტატისტიკა, ზ) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა, თ) სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა და ვაჭრობის ორგანიზაცია, ი) სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა და ვაჭრობის ორგანიზაცია;

VIII. **იურიდიული ფაკულტეტი** — სამართლისმცოდნეობა;

შენიშვნა: 1. საღამოს სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან ის პირნი, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქ. თბილისსა და მის გარეუბნებში.

2. რუსულ სექტორზე მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: ა) ფიზიკა, ბ) რუსული ენა და ლიტერატურა, გ) მრეწველობის დაგეგმვა, დ) ეკონომიური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია, ე) სამართლისმცოდნეობა.

უნივერსიტეტში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება, დღის სწავლების განყოფილებაზე 35 წლამდე ასაკისა, ხოლო საღამოს სწავლების განყოფილებაზე — განუსაზღვრელად ასაკისა.

უნივერსიტეტში შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. **მექანიკის, მათემატიკის სპეციალობებზე** — მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, ფიზიკა (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

2. **ფიზიკის, დიელექტრიკებისა და ნახევრადგამტარების ფიზიკის, რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის, გეოლოგიური აგეგმვისა და სასარგებლო წიაღისეულ ძებნის, სასარგებლო წიაღისეულთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების, ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობებზე** — ფიზიკა (ზეპირი)*, მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

3. **კიბერნეტიკის, ეკონომიური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის სპეციალობებზე** — მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, ფიზიკა (ზეპირი)*, ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

4. **ქიმიის სპეციალობაზე** — მათემატიკა (ზეპირი)*, ქიმია (ზეპირი)*, ფიზიკა (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

5. **ბიოლოგიის სპეციალობაზე** — ფიზიკა (ზეპირი)*, ქიმია (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

6. **ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიის, სამართლისმცოდნეობის სპეციალობებზე** — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი)*, სსრკ ისტორია (ზეპირი)*;

7. **სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის სპეციალობაზე** — მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი)*, უცხო ენა (ზეპირი)*;

8. **რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე** — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი)*, უცხო ენა (ზეპირი)*, სსრკ ისტორია (ზეპირი)*;

9. **ქართული ენისა და ლიტერატურის, კავკასიური ენების, ჟურნალისტიკის, სპარსული ენისა და ლიტერატურის, თურქული ენისა და ლიტერატურის, არმენოლოგიის, სემიტოლოგიის, აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობებზე** — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი)*, უცხო ენა (ზეპირი)*, სსრკ ისტორია (ზეპირი)*;

10. **ინგლისური ენისა და ლიტერატურის, გერმანული ენისა და ლიტერატურის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე** — უცხო ენა (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი)*, სსრკ ისტორია (ზეპირი)*;

11. **გეოგრაფიის სპეციალობაზე** — გეოგრაფია (ზეპირი)*, მათემატიკა (წერა, ზეპირი)* ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

12. **მრეწველობის დაგეგმვის, შრომის ეკონომიკის, ვაჭრობის ეკონომიკის, ფინანსებისა და კრედიტის, საბუღალტრო აღრიცხვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და დაგეგმვის, სტატისტიკის სპეციალობებზე** — მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, გეოგრაფია (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

13. **სოფლის მეურნეობის დაგეგმვის, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობის და ვაჭრობის ორგანიზაციის, სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობის და ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე** — მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, ქიმია (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

გარდა ამისა, რექტორი, ან მისი დავალებით პრორექტორები, ფაკულტეტის დეკანები, მიმღები კომისიის წევრები თვითეულ აბიტურიენტს გაესაუბრებიან მათ მიერ არჩეული სპეციალობისადმი მიდრეკილების გამოვლინების მიზნით.

შენიშვნა: 1. ვარსკვლავით ყველგან აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები;

2. პირველად დასახელებული საგანი მაპროფილებელია იმ პირთათვის, ვინც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაჯილდოებულია ოქროს (ვერცხლის) მედლით, ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი დამთავრებული აქვს წარჩინების დიპლომით.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე ფაკულტეტის, სპეციალობისა და განყოფილების (დღის, საღამოს) ზუსტი აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი).

საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ;

2. ავტობიოგრაფია;

3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286);

4. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული ქუდით, ზომით 3X4 სმ., დამოწმებული);

5. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის, პარტიული ან კომკავშირის ბიუროს მდივნის და ადგილკომის თავმჯდომარის მიერ, კოლმეურნეთათვის — ხელმოწერილი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ დახასიათებას, გაცემულს სკოლის პედსაბჭოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ; საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი — გაცემულს სათანადო სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელების მიერ;

6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. ამონაწერში აღნიშნული უნდა იყოს გამომუშავება და ამ კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლისათვის.

შენიშვნა: აღნიშნულ დოკუმენტს დღის განყოფილებაზე შემსვლელნი წარმოადგენენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა. ხოლო საღამოს განყოფილებაზე შემსვლელნი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი უნივერსიტეტში არჩეული ან მონათესავე სპეციალობით არანაკლებ ორი წლისა.

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (ან მოწვევის მოწმობას) შემომსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება ა. წ. 20 ივნისიდან 30 ივლისამდე ჩათვლით ყოველდღე (გარდა კვირადღეებისა) 10-დან 15 საათამდე.

კონსულტაციები საგამოცდო საგნებში მოეწყობა 16-დან 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან.

დაწვრილებითი ცნობები — მიმღები კომისიის სამდივნოში (II კორპუსი, I სართული, ოთახი № 39) 15-დან 16 საათამდე.

უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 3 ტელეფონი ქვესადგური — 2-23-71.

რედაქტორის მოადგილე გ. თათარიშვილი

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-96, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — 3-15-68, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 01621 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.